საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 65 (344) | სამშაბათი, 21 აპრილი, 1992 წელი. | ფასი 1 მანეთი.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით კი, ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოსათვის უპირველეს სახელმწიფოებრივ საქმედ უნდა გადაიქცეს!

საქართველოს რესპუბლიკაში ერთაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ წარმოაჩინა გამწვავებული ერთაშორისი ურთიერთობები და ადამიანთა უფლებების უხეში ხელყოფის ფაქტები.

ანტიდემოკრატიულმა და პოპულისტურმა პოლიტიკამ, ავტორიტარიზმმა, კატასტროფამდე მიიყვანეს საქართველოს მოსახლეობა, ვერ იქნა აცილებული ძმათა შორის სისხლისღვრა, დაიღუპა ასობით ადამიანი.

კონფრონტაციამ, საზოგადოების ურთიერთ დაპირისპირებულ მხარეებად გაყოფამ, დამღუპველი გავლენა მოახდინა საქართველოს მთლიანობაზე. სხვა ნეგატიური მოვლენების წარმოშობასთან ერთად, საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა ერთაშორის ურთიერთობებში, რომელიც წლების მანძილზე არც თუ ისე მოწესრიგებული იყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სისტემატურად იქმნება დაძაბულობის კერები. აფხაზეთში მდგომარეობა პერმანენტულად არამყარადია, ცხინვალის რეგიონში, ეროვნებათშორისი კონფლიქტი ნამდვილ სამოქალაქო ომად იქცა. ადამიანთა მსხვერპლის, წამებით დახოცვის შემზარავი არაერთი ფაქტის გამო, მთელ პასუხისმგებლობას საქართველოს ისტორია დააკისრებს ძველ ავტორიტარულ რეჟიმს, მის ორგანიზატორს, ყოფილ პრეზიდენტს, შეუძლებელია შეფასებული ან რაიმე საშუალებით გამოთვლილი იქნეს ის მორალური და ეკონომიკური ზარალი, რაც ამ უგუნურმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ მოუტანა ქართველ ხალხს. აუცილებლობა მოითხოვს, მთელ ამ ტრაგედიას მიეცეს მიუკერძოებელი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, თუ ხალხმა სამართლიანობის ძალა არ იგრძნო, მით უფრო ეროვნებათაშორის გამწვავებულ კონფლიქტში, ყოველგვარ წესრიგსა და განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ყველაფერ ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ათასობით ადამიანი (მათ შორის ბავშვი), როგორც ქართველი, ისე ოსი, იძულებული გახდა, მიეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაქცეულიყო ლტოლვილად, რომელთა რიცხვმა, 120 ათასს მიაღწია. ცხინვალის რეგიონში დაცარიელდა ქართული და ოსური დასახლებული პუნქტები. ფრონეს ხეობაში არ ფუნქციონირებს არც ერთი ქართული სოფელი.

მიმდინარე პროცესებს განსაკუთრებით ამძიმებს და უმართავს ხდის ის ფაქტი, რომ სხვა მიზეზებთან ერთად, ვერ ალიკვეთა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მოქმედება. შეუძლებელი გახდა, არა მარტო ადამიანთა უფლებების, არამედ მათი სიცოცხლის დაცვა.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებისა, რაც გამოიხატა ოფიციალური განცხადებებით, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური კომისიების შექმნით და შათი საქმიანობით, დაპირისპირების რაიონში ცეცხლის შეწყვეტა და ბლოკირებული გზების გახსნა ვერ მოხერხდა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ მდგომარეობა კრიტიკულია და მისი შემდგომი ესკალაცია დიდი საშიშროების წინაშე დააყენებს ქვეყანას. ეროვნებათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით კი, ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოსათვის უპირველეს სახელმწიფოებრივ საქმედ უნდა გადაიქცეს.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის თანამდებობა ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შეიქმნას იმავე დარგის (ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის) სახელმწიფო კომიტეტი. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე იმავდროულად არის დასახელებული კომიტეტის თავმჯდომარე.

2. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილეს, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში მიეცეს საგანგებო დავალება და სახელმწიფო საბჭოს სპეციალური რწმუნებები ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილეს, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დარგში, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს განსახილველად წინადადებები ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმის შექმნის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.

წუხელ შევიტყვეთ

სამხედრო კომენდანტის ცნობა

სამხედრო კომენდანტის პრესსამსახურის ცნობით, 18 და 19 აპრილს, თბილისში მოხდა შვიდი დანაშაული. გლდანის მასივში ფსიქიკურად ავადმყოფმა ვაჟმა მამა დაახრჩო. ელექტრონული ტექნოლოგიის ინსტიტუტიდან კომპიუტერის მოპარვის ფაქტზე ნაძალადევის მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს 25 წლის გ. ქ.

საქართველოს მთავრობის მიერ გამოჩენილი ჰუმანურობის აქტი არ დააფასეს კასპის რაიონის სადგურ მეტეხის მცხოვრებმა, აგრეთვე, გაურკვეველი საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის მქონე პირებმა ვ. ქ. და ს. ქ.-მ, რომლებიც ამნისტიით განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან. მათ თბილისში, მოქალაქეთა პირადი ქონება მოიპარეს. ისინი დააპატიმრეს საბურთალოსა და ისნის რაიონების შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა. კრწანისის მილიციამ დააკავა ნარკომანი, რომელსაც ბაზში ჩამოართვეს.

კომენდანტის საათის დარღვევისთვის შაბათ-კვირას დააკავეს 88 კაცი. მათ მიმართ მიღებულია ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები.

ერთი კვირის მანძილზე

ბოლო ერთი კვირის მანძილზე რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა, რამაც განაპირობა კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესების პროცესის დაწყება. მაგალითად, 17 და 18 აპრილს შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აჭარაში, სამეგრელოში, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში სიმშვიდე იყო.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაძაბული პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარებაა აფხაზეთში. ამას ადასტურებს 17 აპრილს სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში ჩადენილი ვანდალური აქტი. ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა სცადა აეფეთქებინა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. ღამით მან მემორიალს შემოუწყო ასაფეთქებელი ნივთიერების ხუთი პაკეტი, რომელთაგან, საბედნიეროდ, აფეთქდა მხოლოდ ერთი. მემორიალი ნაწილობრივ დაზიანდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მილიციის ოპერატიულმა ჯგუფმა იქ ოთხი ცალი აუფეთქებელი პაკეტი აღმოაჩინა.

საქართველოს შსს პრესცენტრი.

ბავშვებსაც ესროლეს!

გორი, 20 აპრილს, დილით, ტყვიებით დაცხრილული და ფანჯრებჩალეწილი სამგზავრო ავტობუსი (ლაზ-595, 84-32 დრე) მოაადგა გორის ადმინისტრაციულ სახლს.

ქალებისა და ბავშვების წივილკივილში ავტობუსიდან დაჭრილ-დასახიჩრებულები გადმოიყვანეს, ზოგი პირდაპირ ასფალტზე დააწვინეს, ზოგიც იქვე მსუბუქ მანქანებში ჩასხეს და საავადმყოფოს გზას გაუყენეს.

რა მოხდა? სად, რა ვითარებაში დატრიალდა ეს უბედურება?

გელა ბაბუციძე, ტრისტან ჭულუხაძე — სამაჩაბლო-გორის მარშრუტის ავტობუსის მძღოლები: დილით თამარაშენში ორი სამგზავრო ავტობუსისა და რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანისაგან გორში წასასვლელი კოლონა გაფორმდა. სამაჩაბლოელი — ქეხველი, თამარაშენელი, ქემერტელი — მცხოვრებნი გორში მიდიოდნენ.

როგორც წესი, კოლონას უნდა აცილებდეს ორი „ბეტეერი", ჩვენს კოლონას კი წინ ერთი „ბეტეერი" (№ 370) მიუძღოდა და კოლონის „კუდი" დაუცველი იყო, ამას ისიც დაემატა, რომ წინ მიმავალმა „ბეტეერმა" მოულოდნელად დიდი სიჩქარე განავითარა და კოლონა ფაქტობრივად ბედის ანაბარად მიატოვა, ამით ისარგებლეს ვიღაც ბანდიტებმა და 3 მსუბუქ ავტომანქანას 16 ტყვია მოახვედრეს. 9 ტყვიამ სალონში გაიარა, 3 ტყვია ბენზინის ავზს მოხვდა. დაუჯერებელია, მაგრამ არც მანქანა აფეთქებულა, არც მსხვერპლია. დაიჭრა ექვსი კაცი. მათ შორის — ახაშენელი სულხან ბაბუციძე, ქურთელი ლენა ბასიშვილი, ტეხველი ლენა კახნიაშვილი და სხვები.

დაცხრილულმა ავტობუსმა რის წვალებით გამოასწრო ქალაქის გამოსასვლელამდე. აქ მოვიდა ცხინვალში მყოფი სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი და გადაჭრით პასუხი ვერაფერზე გასცა. „ბეტეერის" ეკიპაჟმა კი ცინიკურად განაცხადა, ჩვენ სროლის ხმა საერთოდ არ გაგვიგიაო. მოვიდნენ სამხედროები სანიტარიული ნაწილიდან და პირველი დახმარება დაჭრილებს მათ აღმოუჩინეს. ამასთან, ყველა დაჭრილი როდი ენდო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებს...

გურამ ვაშაკიძე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის ბრძანება

16 აპრილი 1992 წელი. ქ. თბილისი.

1. დაინიშნოს ქვემო ქართლის (მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, წალკის რაიონები) საგანგებო სამხედრო რწმუნებულად ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის დარგში მარნეულის ბატალიონის მეთაური გვარდიის მაიორი დავით ვახტანგის ძე ხომასურიძე.

2. ქვემო ქართლის ზონაში დისლოცირებული ეროვნული გვარდიის ნაწილები დაემორჩილონ ქვემო ქართლის საგანგებო რწმუნებულს ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის დარგში.

3. ზემოთ აღნიშნული რაიონების მილიციის და უშიშროების სამსახურებმა ყოველნაირად შეუწყონ ხელი საგანგებო რწმუნებულს მუშაობაში და კვირაში ერთხელ ხსენებული სამსახურების უფროსებმა ჩააბარონ მას ანგარიში აღნიშნულ ზონაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, ეროვნული გვარდიის მთავარსარდალი

თ. კიტოვანი.

ექსპრეს-ინტერვიუ

ტვირთი

საგულისხმოა ორი ფაქტი უნივერსიტეტის ისტორიაში, ორივე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მოხდა: 78 წლის წინათ — 1919 წელს — დამოუკიდებელი საქართველოს ახლად გახსნილი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად საქართველოს ისტორიის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი აირჩია პროფესორთა საბჭომ.

78 წლის შემდეგ — 1992 წელს — როცა უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილია, უნივერსიტეტის რექტორად საქართველოს ისტორიის პროფესორი როინ მეტრეველი აირჩია უნივერსიტეტის საბჭომ.

როინ მეტრეველმა თავისი ცხოვრების წესით დაამტკიცა, რომ საქვეყნო საქმის კეთება და კაცურკაცობის შენარჩუნება შეიძლება ყოველგვარ სიტუაციაში — გინდ ეროვნული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე და შენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მკვლევარი იყო, გინდ კომპარტიის ცეკას უმაღლესი რანგის ფუნქციონერი, გინდაც პრეზიდენტის მიერ დანიშნული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი...

ცხადია, ამიტომაც ენდნენ და აირჩიეს.

— გილოცავთ, ბატონო როინ... თქვენს გარდა, ალბათ, სხვა კანდიდატებიც იყვნენ...

— დიდი მადლობა, ჩემო ბატონო... რა თქმა უნდა, იყვნენ, ორი იყო დასახელებული, მაგრამ, შემდეგ, სხვადასხვა ეტაპზე, მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები...

— რა ფორმით მოეწყო არჩევნები?

— ფარული კენჭისყრით... 103 ხმიდან 96 მივიღე.

— სტუდენტთა წარმომადგენლები თუ მონაწილეობდნენ?

— ცხადია...

— ბატონო როინ, თქვენ ზედმიწევნით გესმით ჩვენი დღევანდელი სიტუაცია, ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის პრობლემები, მაინც, რას აპირებთ უპირველესად?

— პრობლემები, იცოცხლეთ, მართლაც არის, მაგრამ ერთ-ორ დღეში ვერ დაიძლევა, ჩვენ ვფიქრობთ, სწავლების ახალი მოდელის შექმნაზე, საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, კომპიუტერიზაციაზე, რაც მოწინავე ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლებისთვის, შეიძლება ითქვას, განვლილი ეტაპია. აუცილებელია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის სასწავლო, დასვენების თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ამას ყოველივეს, ნურავინ ჩაგვითვლის ლიტონ სიტყვად. უპირველესი ეროვნული უნივერსიტეტის რექტორობა, თანაც, როცა გვენდობიან და გირჩევენ, მძიმე ტვირთია და ვეცდები, რომ ვზიდო... ჩვენი სამშობლო, ფაქტობრივად, უკვე დამოუკიდებელია, არადა, არ გვყოფნის სპეციალისტები, პროფესიონალები... ჰოდა, უნივერსიტეტის უპირველესი ამოცანა ამჟამად ის უნდა იყოს, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტები მოუმზადოს საქართველოს...

— ღმერთმა გისმინოთ, ბატონო როინ, წარმატებებს გისურვებთ!

ვილენ მარდალეიშვილი.

გივი შეყილაძის ფოტო.

ედუარდ შევარდნაძე აჭარაში

ბათუმი. 19 აპრილს აქ ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე. ბათუმის აეროპორტში მას დახვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პირდაპირ აეროპორტიდან ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები პირნი ვერტმფრინავით მაღალმთის ხულოს რაიონში გაფრინდნენ.

30 წუთის შემდეგ ვერტმფრინავი დაეშვა სოფელ წაბლანაში, სადაც 1989 წლის გაზაფხულზე სტიქიას ემსხვერპლნენ ადამიანები. ამ ტრაგედიის შემდეგ 19 აპრილს აჭარაში აღნიშნავენ როგორც უდროოდ დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნის დღეს. ახლა მეწყრის ადგილზე დადგმულია მემორიალური ფილა. აქ შეკრებილი მთიანი აჭარის მცხოვრებნი გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. სოფელ ფუშრუკაულის მცხოვრებმა ჰუსეინ სურმანიძემ ედუარდ შევარდნაძეს მიულოცა სამშობლოში დაბრუნება, მადლობა გადაუხადა და გამოთქვა იმედი, რომ მასთან ერთად ქართველი ხალხი თავს დააღწევს ახლანდელ ძნელ გამოცდას.

ედუარდ შევარდნაძემ, ასლან აბაშიძემ და გურამ ვარშალომიძემ ყვავილებით შეამკეს მემორიალური ფილა.

— აქ დაიღუპნენ ბავშვები, დედები და მამები, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, როცა შეკრებილთ მიმართა. — ნათელი იყოს მათი ხსოვნა. ტრაგედიით მიყენებული იარა არასოდეს არ მოშუშდება ადამიანთა გულში. წაბლანაში უბედურება მოხდა, და ამან გულიატკინა მთელ საქართველოს — ასე იყო და ასე იქნება მუდამ. აჭარის ტკივილი მთელი საქართველოს ტკივილია. ახლა ათობით, ასობით თანამემამულე დაგვეღუპა. ნათელი იყოს მათი ხსოვნა იმის მიუხედავად, თუ ვის მხარეს იყვნენ ისინი, — ისინი ხომ ყველანი ჩვენი შვილები არიან. ღმერთს უნდა შევთხოვოთ მოგვიტევოს ცოდვები და შეაჩეროს ძმათაკვლა, სისხლისღვრა.

შემდეგ გამოვიდნენ პოეტი ფრიდონ ხალვაში, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი თამაზ დიასამიძე, მწერალი ვახტანგ ზოიძე, ასლან აბაშიძე და სხვები. სიძნელენი ახლა აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, საკმაოდაა. მათზე ლაპარაკისას ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა სიძნელეს დაძლევენ, თუ ერთად მოჰკიდებენ საქმეს ხელს და ერთმანეთის მხარდამხარ იშრომებენ ერთიანი და განუყოფელი საქართველოსათვის.

სოფელ სხალთაში სტუმრები ეწვივნენ ეკლესიას, აანთეს სანთლები. გაიმართა გულთბილი საუბარი ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

სოფელი ღორჯომი, უნდა ითქვას, ყველაზე დიდია ხულოს რაიონში. იქ 1200-ზე მეტი კომლია. ზამთარი აქ ჯერაც არ დამთავრებულა, თუმცა ხეები უკვე დაიკვირტა. აქ ამასწინათ მთის კალთები ჩამოწვა. მეწყერმა შთანთქა ერთი სახლი. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. პილოტმა მთელი თავისი ოსტატობა გამოიყენა, რათა სოფელში გამოეძებნა პატარა ადგილი და ვერტმფრინავი დაესვა.

ედუარდ შევარდნაძე შევიდა ადგილობრივ მეჩეთში, ამასთან გულდასმით დაიცვა მართლმორწმუნეთა წმინდა ადგილის წვევის ყველა წესი. მეჩეთში სტუმარს შეეგება მოლა ახმედ სირაძე, რომელმაც თქვა, რომ აჭარა დედასაქართველოს განუყოფელი ნაწილია და უგუნურნი არიან ისინი, ვინც წყალგამყოფს აგებს თანამემამულეთა შორის მათი რწმენის მიუხედავად.

სოფლის ცენტრში გაიმართა იმპროვიზებული მიტინგი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ აჭარაში მტკივნეულად განიცდიან მთლიანად საქართველოში მიმდინარე დაპირისპირების პროცესებს, ძმათამკვლელ შეტაკებებს. ყოველ გამოსვლაში გაისმოდა მოწოდება ერთიანობისათვის.

თამაზ გენძეხაძე, თენგიზ გრიგალაშვილი.

ქრისტიან როსინგი: „ევროპა მზად არის დაეხმაროს საქართველოს"

— ევროპარლამენტი მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს იმაში, რომ დაძლიოს ეკონომიკური სიძნელენი, მოიზიდოს რესპუბლიკაში კერძო ინვესტორები, — განაცხადა ცნობილმა პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა, ევროპარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარემ ქრისტიან როსინგმა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან თენგიზ სიგუასთან საუბრის დროს.

ქრისტიან როსინგი საქართველოში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა. მისი ინიციატივით გაიმართა საქართველოს დელეგაციის შეხვედრები ევროპარლამენტის ხელმძღვანელობასთან, ევროპისა და დანიის საქმიან წრეებთან. მან, საქართველოს დიდმა მეგობარმა, ხელი შეუწყო ტექნიკური დახმარების პროექტების შემუშავებას, რომელთა მიზანია რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება. ეს პროექტები შეეხება, კერძოდ, თბილისში მობილური სატელეფონო ქსელის შექმნას, საქართველოში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, კერძო სატრანსპორტო კომპანიათა შექმნას, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერთიფიკაციის ეროვნული სამსახურის ორგანიზაციას, სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას.

ბატონმა ქრისტიან როსინგმა პრემიერ-მინისტრს აცნობა, რომ ევროპარლამენტის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამის დაფინანსების შესახებ. შუშავდება წინადადებანი საქართველოში ტელეკომუნიკაციათა განვითარებისათვის ევროპიდან დიდი ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე.

წამყვანი ევროპელი ექსპერტები გამართავენ კონსულტაციებს ძირითადი რესპუბლიკური კანონების პროექტების მომზადების გამო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ამიერიდან რეგულარულად მიიღებს მონაწილეობას სკანდინავიის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების სხდომებში.

ბატონმა თენგიზ სიგუამ მადლობა გადაუხადა სტუმარს იმის გამო, რომ დიდი უანგარო დახმარება გაგვიწია და ქვეყნისათვის ძნელ ჟამს საქართველოს მხარი დაუჭირა. მან სტუმარს გააცნო რესპუბლიკაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, ესაუბრა იმაზე, თუ როგორ მზადდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები, როგორ მიმდინარეობს მიწის რეფორმა, პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია და რა ღონისძიებებს ახორციელებს მთავრობა მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

საუბარში მონაწილეობდა დანიაში მცხოვრები ქალბატონი თამარ ვესტი, ჩვენი თანამემამულე, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ორი ქვეყნის საქმიანი კონტაქტების გაფართოებას.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ კიტოვანი, რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი ირაკლი ჟორდანია.

სურათზე: ცნობილი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, ევროპარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე ქრისტიან როსინგი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან თენგიზ სიგუასთან საუბრის დროს.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი ამბები

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძე დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილის ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ალექსანდრე კავსაძეს მიეცა სახელმწიფო საბჭოს სპეციალური რწმუნებები ცხინვალის რეგიონში სამოქალაქო და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

საქართველოს 20000 ჯარისკაცი დაიცავს

— საქართველო 15 აპრილს ჩრდილო-ატლანტიკურ თანამშრომლობის საბჭოში გაწევრიანდა.

— საქართველოს რესპუბლიკა ესწრაფვის ყველა სახელმწიფოსთან პარიტეტულ საწყისებზე მშვიდობიან თანაარსებობას ალიარებს. — საქართველოს 20 000 ჯარისკაცი დაიცავს. განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ლევან შარაშენიძემ.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო საპრეზიდენტო მთავრობის დროს შეიქმნა, მაგრამ დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ მისი აპარატი ახლად ჩამოყალიბდა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 11 აპრილს მიიღო ისტორიული დადგენილება შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და დამტკიცების შესახებ. სამინისტრო დაიქვემდებარებს სახმელეთო, სასაზღვრო, სამხედრო-საზღვაო ფლოტს, საჰაერო და ჰაერსაწინაღო თავდაცვასა და სწრაფი რეაგირების კორპუსს.

როგორი იქნება თავდაცვის კანონი, რა ბედი ეწევა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მომსახურე 1260 ქართველ ოფიცერს. იმსახურებენ თუ არა მსურველები კონტრაქტის საფუძველზე ჯარში, მზად არიან თუ არა ინსტრუქტორები და საქართველოს სამხედრო ბაზები პროფესიული ქართული კადრების მოსამზადებლად, რა გზას ადგას თავდაცვის სამინისტრო შავი ზღვის ფლოტის დასაცავად, შემოიერთებს თუ არა სახელმწიფო ზუგდიდის ბატალიონს, რა დანიშნულებით შეუერთდება თავდაცვის სამინისტროს „მხედრიონი", როგორ დაიბრუნებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მიერ ჩალის ფასად გაყიდულ საქართველოს სამხედრო ქონებას სამინისტრო, როდემდე იქნებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯარები საქართველოში, ღირსეულად შეფასდება და სოციალურად უზრუნველყოფილი იქნება თუ არა პროფესიული სამხედრო კადრები თავდაცვის მომავალი კანონის მიხედვით, რა ფინანსური და მატერიალური ფასეულობის გამოყოფა შეუძლია სახელმწიფოს ქართული ჯარის შესანახად?

ჟურნალისტების ამ და სხვა შეკითხვებზე უპასუხეს მთავარი შტაბის უფროსმა, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გვარდიის პოლკოვნიკმა ავთანდილ ცქიტიშვილმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ნოდარ გიორგაძემ, მინისტრის მოადგილეებმა, პოლკოვნიკმა თამაზ ცხაკაიამ და მაიორმა არჩილ ლომსიანიძემ, სამინისტროს სამხედრო-სამეცნიერო სამმართველოს უფროსმა, აკადემიკოსმა, პოლკოვნიკმა გიორგი ციციშვილმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განიარაღების პრობლემების განყოფილების უფროსმა ზურაბ ლომაშვილმა.

ია კალანდარიშვილი.

გაზაფხულის წყალდიდობას თადარიგი უნდა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა 1992 წლის გაზაფხულის მოსალოდნელ წყალდიდობასთან დაკავშირებით გადაუდებელ ორგანიზაციულ ღონისძიებათა საკითხი. აღინიშნა, რომ გასულ ზამთარში რესპუბლიკის მთებში დიდი თოვლი მოვიდა. განსაკუთრებით უხვთოვლიანი იყო ზემო იმერეთის, გურია-აჭარისა და სამეგრელოს მთიანი ზოლი, თოვლის საფარის სიმაღლე ამ რაიონებში სამი მეტრის ფარგლებში მერყეობდა, ბახმაროში კი ოთხნახევარ მეტრსაც მიაღწია, რაც საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებელს 2-4-ჯერ აღემატება. ეს კი მკვეთრი დათბობის და წვიმების შემთხვევაში მდინარეთა საშიში ადიდების, ღვარცოფების ფორმირების და ზვავსაშიშროების გააქტიურების პოტენციურ საფრთხეს ქმნიდა.

ცხადია, საშიში წყალდიდობის და სხვადასხვაგვარი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზირების, ამ პროცესების განვითარების მასშტაბების და ხასიათის თაობაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფების გამართული მუშაობა.

საქართველოს მთებში თოვლის მარაგის და აპრილში ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის გათვალისწინებით, მარტის ბოლოს ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში შეადგინეს საქართველოს მდინარეებზე წლევანდელი წყალდიდობის პროგნოზი, რომლის თანახმად გაზაფხულის წყალდიდობა დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე ნორმაზე მეტი და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე ნორმის ფარგლებში მოსალოდნელი. ამასთან, გაზაფხულის წყალდიდობის მაქსიმალური წყლიანობა, ძირითადად, აპრილშია მოსალოდნელი. თუმცა თოვლის დნობით გამოწვეულმა წყლის დონის მატებამ მდინარეებში საშიშ ნიშნულებს არ უნდა მიაღწიოს. ასე რომ, საირიგაციო და ენერგეტიკულ წყალსაცავებში წყლის დეფიციტი საგრძნობი არ იქნება. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს საჭირო არ იყოს წყლის მომჭირნედ ხარჯვა.

სადღეისოდ მთაში თოვლი თითქმის დადნა. მაღალმთიან ზონაში იგი უკვე შემცირდა და თოვლის საფარის სიმაღლე მეტრნახევარს, გურია-აჭარის მთებში ორ მეტრს აღემატება. ამინდმა შეიძლება კვლავ შეიტანოს თავისი კორექტივი წყალდიდობის პროგნოზში.

შესაძლო კოკისპირულ წვიმას მაღალმთიან ზონაში თოვლის ინტენსიური დნობის გამოწვევა შეუძლია, რასაც მდინარეებზე საშიში წყალდიდობის ფორმირება მოჰყვება. მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე კი ძლიერი წვიმის პროგნოზირება შეიძლება მხოლოდ 1-2 დღით ადრე. ამიტომ აუცილებელია რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებით გადაცემული მოკლევადიანი ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ.

საქართველოს მთავრობამ აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ დასახა ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია რესპუბლიკის სამინისტროების და უწყებების მიერ საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე შევამციროთ შესაძლო წყალდიდობით გამოწვეული ზარალი და თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი.

ნიკოლოზ ბერაძე, საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, ჰიდრომეტეოროლოგიის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

ინტეგრაციის გზით

18 აპრილს გამართული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც მისი თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა, ჩვეულებისამებრ, დაიწყო მთავრობის ინფორმაციით რესპუბლიკაში საქმის ვითარების შესახებ. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ, კერძოდ, თქვა, რომ ამ ბოლო დღეებში რამდენადმე იკლო დაძაბულობამ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. მდინარეებში წყლის დონის მომატებამ საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა ელექტროენერგიის გამომუშავება კიდევ 7-8 მილიონი კილოვატსაათით. ამუშავდა, ბოლოს და ბოლოს, მთელი ზამთრის განმავლობაში და გაზაფხულის დამდეგს სათბობისა და ენერგიის უქონლობის გამო მოცდენილი სამრეწველო საწარმოები. მაგრამ ახლა მათი უმრავლესობის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ნედლეულის დეფიციტის პრობლემა. არსებითად აფერხებს სოფლად გაზაფხულის სამუშაოებს საწვავის მარაგის უქონლობა. თუ დიზელის სათბობისა და მაზუთის მხრივ საქმე მეტ-ნაკლებად ნორმალურად არის, ბენზინის მარაგი პრაქტიკულად ნულს უახლოვდება. მთელ იმედს იმ 5 ათას ტონა საწვავზე ვამყარებთ, რომელიც ახლა გზაშია. მინიმალურია ლუმლის სათბობის მარაგიც, რომელიც ასე სჭირდება ჩაის ფაბრიკებს მომავალი ალოობის პერიოდში.

უკეთ არც სურსათის მდგომარეობაა რესპუბლიკაში. რაც შეეხება მარცვლეულს, იგი გვეყოფა 10 მაისამდე და აქაც კიდევ 70 ათასი ტონის შემოსვლის იმედით ვართ. რაც შეეხება შაქარს, ამ მხრივ სიტუაცია კვლავ უაღრესად რთულია რეალურად უკრაინიდან მისი მოწოდების იმედი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არა გვაქვს მაგრამ მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება ზოგიერთ საზღვარგარეთულ ფირმასთან ბარტერულ გარიგებათა გზით მისი შემოტანის თაობაზე. რეალიზაციის სტადიაშია ახლა ბარტერული ოპერაციები საქართველოში რძის ფხვნილის სხვა დიდმნიშვნელოვანი პროდუქტების მოწოდებისათვის. შეშფოთებას იწვევს ის, რომ მთლიანად რესპუბლიკაში საკმაო ტემპით არ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. თუ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში უკვე დამუშავებულია მიწის სავარგულების 42 პროცენტი, დასავლეთ საქართველოს მრავალ რაიონში, განსაკუთრებით სამეგრელოში, გაზაფხულის მინდვრის სამუშაოები პრაქტიკულად ახლა იწყება; დამაიმედებელია იქ მყოფი მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობის დაპირებანი, რომ ეს სამუშაოები უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში — უახლოეს ორ-სამ კვირაში განხორციელდება.

გაცილებით ოპტიმისტური იყო საქართველოს დროებითი მთავრობის მეთაურის მიერ გაანალიზებული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკურ და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული ვითარება. მან განაცხადა, რომ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად თბილისში ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის დელეგაცია, ამავე მიზნით ჩამოდიან საბერძნეთის წარმომადგენლები. მოველით ევროპარლამენტის წარმოგზავნილთა ვიზიტს. აღინიშნა, რომ დიდი პერსპექტივები, განსაკუთრებით ამ ეტაპზე, ესოდენ საჭირო კრედიტების მიღების ნაწილში, ისახება რესპუბლიკის წინაშე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრად მის მიღებასთან დაკავშირებით. როგორც თენგიზ სიგუამ თქვა, საქართველოსათვის დადგენილი კვოტა 70 მილიონი დოლარის ფარგლებში მას აძლევს უფლებას მიიღოს სესხად 400-ჯერ მეტი, რაც რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს გამოასწოროს თავისი საქმეები, დააჩქაროს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი. არანაკლებ კრედიტებს ჰპირდება საქართველოს მისი შესვლა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც, კერძოდ, ევროპის გაერთიანებაში. სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის იმ წინადადებას, რომ უნდა დაჩქარდეს საქართველოს შესვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და ეცადონ მოხდეს ეს უკვე ამა წლის ივნისში.

სხდომის მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ იმ მხრივ, რომ კრედიტებით ცხოვრება, რა თქმა უნდა, საუკეთესო ვარიანტი არ არის, მაგრამ დღეისათვის — ეს, ალბათ, ერთადერთი რეალური შესაძლებლობაა, რომელიც გამოიყვანს რესპუბლიკას შექმნილი სერიოზული კრიზისიდან, მოხსნის დაძაბულობას ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, გაუადვილებს ადამიანებს ცხოვრებას ბაზარზე გადასვლის რთულ პირობებში აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი სხდომა გადაწყვეტილია სპეციალურად მიეძღვნას ისეთი პრობლემის განხილვას, როგორიც არის „ფასების ზრდა და მოსახლეობის სოციალური დაცვა".

სახელმწიფო საბჭომ მოისმინა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის ინფორმაცია პროკურატურის დეკრეტის პროექტის შესახებ და გადაწყვიტა წინასწარ გადასცეს ეს დოკუმენტი განსახილველად თავის იურიდიულ კომისიას, განიხილა ზოგიერთი ორგანიზაციული და სხვა საკითხები.

ედუარდ ედიბერიძე.
საქინფორმის კორ.

საქართველო-საბერძნეთი:

დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებულია

საქართველოსა და საბერძნეთის ისტორიულ და კულტურულ კავშირურთიერთობას, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები საუკუნეებში, მტკიცე ნაფუძველი შექმნა. 20 აპრილს თბილისში საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი დოკუმენტებს საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. თავიანთი ქვეყნების მთავრობათა სახელით დოკუმენტებს ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თედო ჯაფარიძემ და საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში ილიას გუნარისმა.

— სულ რამდენიმე დღეა, რაც ათენიდან დავბრუნდი, და კვლავ თან მსდევს თქვენს უძველეს ქვეყანასთან, შესანიშნავ ხალხთან გაცნობის შთაბეჭდილებები, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ საბერძნეთის დელეგაციის მიღებისას. — დღეს მოხდა ისტორიული მოვლენა — ჩვენმა ქვეყნებმა დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა; ფართო გზა გაეხსნა მჭიდრო თანამშრომლობას პოლიტიკის, ბიზნესის, განათლების, რელიგიის სრულიად განსხვავებულ დარგებში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კონტაქტები უმაღლეს დონეზე განვითარდება. მოუთმენლად ველით საქართველოში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ მიცოტაკისის ჩამობრძანებას.

საუბრის დროს განიხილეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას, რადგან, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ეკონომიკური ურთიერთობა საუკეთესო საფუძველია პოლიტიკური ურთიერთობის აგებისათვის.

მხარეებმა გამოთქვეს ორმხრივი სურვილი გაიხსნას ქუთაისში საბერძნეთის სავაჭრო-კულტურული ცენტრი, რომლის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ქალაქ პირეოსის მერს.

თენგიზ სიგუამ გამართა სადილი საბერძნეთის დელეგაციის პატივსაცემად.

საქართველო-კუბა:

გაცვალეს ნოტები

საქართველოსა და კუბის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიით დამთავრდა თბილისში კუბის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც მეთაურობდა კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ალსიბიადეს იდალგო ბასულტოსი.

მხარეებმა აგრეთვე მიიღეს გადაწყვეტილება შესაბამისად თბილისსა და ჰავანაში ელჩების აკრედიტაციის შესახებ.

ეს მოვლენა ახალი ნიშანსვეტი გახდა არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიაში, არამედ ერთვნული დიპლომატიის ისტორიაშიც, რომელმაც გადაალახა ევროპის კონტინენტის საზღვრებს და ახალი ფურცელი ჩაწერა საქართველო — ლათინური ამერიკის ურთიერთობაში.

— დღეს საფუძველს ვუყრით ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თედო ჯაფარიძემ კუბის დელეგაციის წევრებთან საუბრის დროს. — ღია დიალოგი შესაძლებლობას მოგვცემს, დიპლომატიური ხიდის შემდეგ გავდოთ ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო ხიდები.

— თქვენი რესპუბლიკის სპეციალისტებმა ნათელი კვალი დატოვეს, თავიანთი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ეკონომიკაში, აღნიშნა ბატონმა ალსიბიადეს იდალგო ბასულტოსმა. ჩვენში თქვენი გეოლოგების, მშენებლების, პედაგოგების, აგრონომების საქმიანობის მეოხებით, კუბელები განიმსჭვალნენ ქართველი ხალხისადმი გულწრფელი სიმპათიის გრძნობებით. ამიტომ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება შეესაბამება კუბელი ხალხის მისწრაფებებსაც. ახლა ისახება სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების განვითარების ფართო პერსპექტივები.

საუბრის დროს შეეხნენ ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობის ფართო წრის საკითხებს. მაგალითად, გადაწყდა, რეგულარულად გაუცვალონ ერთმანეთს სპეციალისტები, ასპირანტები, სტუდენტები, განავითარონ ტურიზმი, განამტკიცონ სახალხო დიპლომატია. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველო-კუბის საქმიან კონტაქტებს, ერთობლივი საწარმოების შექმნას.

კუბის დელეგაცია მიიღო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. გამართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოსა და კუბის დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ერთმანეთის პატივისცემისა და მათი ქვეყნების დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, თვითგამორკვევისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია

17 აპრილს სოხუმში გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. სესია გახსნა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ. მან გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ გაურკვეველი მიზეზით ქართველი დეპუტატები არ გამოცხადდნენ სესიის სხდომაზე. სესიას ესწრებოდა 38 დეპუტატი.

სესიამ დღის წესრიგში კვლავ შეიტანა წინა სხდომაზე დამტკიცებული საკითხები, რომელთა განხილვა მაშინ არ დამთავრებულა. სახელდობრ:

კანონის მიღება საწარმოებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების თაობაზე, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის დამტკიცების შესახებ, აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ადმინისტრაციის მეთაურების დანიშვნის შესახებ.

სესიამ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

სხდომის ბოლოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ ინფორმაცია გააკეთა ამას წინათ აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან თბილისში. ეს შეხვედრა ვ. არძინბას აზრით იყო მნიშვნელოვანი და სასარგებლო. მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ერთობლივმა სამართლებრივმა ჯგუფებმა გააგრძელონ მუშაობა სხვადასხვა აქტუალური საკითხების გარშემო.

• • •

20 აპრილს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში დამტკიცებულ იქნა საკითხები: აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატების თემურ კალანდიას და რუდიკ ცატავას მიერ დეპუტატობის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დროებითი რეგლამენტის შესახებ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ადმინისტრაციის მეთაურთა დანიშვნის შესახებ და სხვა.

სესიამ დააკმაყოფილა დეპუტატების თემურ კალანდიას და რუდიკ ცატავას განცხადებები დეპუტატობის უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე, რომლებიც უზენაესი საბჭოს მიერ ადრე დამტკიცებული იყვნენ სოხუმის და გალის რაიონების ადმინისტრაციის მეთაურებად.

სესიამ დაამტკიცა უზენაესი საბჭოს დროებითი რეგლამენტი და შეუდგა საკითხის განხილვას ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა დანიშვნის შესახებ. წარმოდგენილი იყო ქალაქ გაგრისა და გულრიფშის რაიონების ადმინისტრაციის მეთაურთა კანდიდატურები. საკითხის განხილვისას აფხაზ და ქართველ დეპუტატებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც უნდა გამართულიყო მოლაპარაკება კომპრომისული გადაწყვეტილების მისაღებად.

უზენაესი საბჭოს მუშაობის განახლებისას აღმოჩნდა, რომ ქართველთა დეპუტაცია და რამდენიმე რუსულენოვანი დეპუტატი სხდომას არ დაესწრო.

პარლამენტის წევრებმა განაგრძეს საკითხების განხილვა და ქალაქ გაგრის ადმინისტრაციის მეთაურად დაამტკიცეს რუსლან იაზიჩბა, ხოლო გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურის დანიშვნა გადაიდო სესიის მორიგი სხდომისათვის.

იოსებ გოგეჩია.
„სრ" სპეც. კორ.

უცნაური ხალხი ვართ ჟურნალისტები... სად არ ვეძებთ ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას, მაგრამ საკუთარი „სამმოს" თანკაცს იშვიათად ვკითხავთ, ვერიდებით რატომღაც... მაგრამ მოხდა ისე, რომ გასულ შემოდგომაზე ჩვენც და საზოგადოებრიობაც ძალაუნებურად მოგვახედეს საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის ნიკა ჩერქეზიშვილისკენ. გახსოვთ, ალბათ, დღე ერთი იყო დაწამოძახება ათასი — „პარტიული ფუნქციონერი", „მოღალატეთა დამცველი", და ვინ მოთვლის, კიდევ რას არ გაიგონებდით მისი მისამართით ხელისუფლების შეკრებებზე, მიტინგებზე, ტელევიზიასა თუ რადიოში. ცნობილია, რომ ასეთ დროს ინტერესი პიროვნებისადმი განუზომლად იზრდება, მაგრამ მაშინ ბატონმა ნიკამ უარი გვითხრა ასეთ საგაზეთო საუბარზე ერთადერთი მიზეზის გამო: ახლა სჯობს საქმე ვაკეთოთო... ეს იყო და ეს...

მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ინტერესი ამ პიროვნების მიმართ ჭერაც არ განელებულა, ასე რომ, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმართა ეს საუბარი:

— ბატონო ნიკა, ჩვენი საუბარი იმით დავიწყოთ, რომ თავდაპირველად გავარკვიოთ თქვენი და საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის როლი იმ მოვლენებში, რომლებიც საქართველოში ამ ერთი წლის მანძილზე მოხდა?

— საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი, რომელიც 1990 წლის დამდეგს შეიქმნა, იყო პირველი რესპუბლიკის შემოქმედებით კავშირებს შორის, რომელმაც დაამსხვრია არსებული სტრუქტურები და გამოაცხადა სრული დამოუკიდებლობა როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი რესპუბლიკური ორგანოებისგან, რასაც ჩვენმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამაც შეუწყო ხელი. ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარედ ჩემი არჩევის შემდეგ ბევრისათვის გასაკვირად, გაზეთ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორის პოსტი მივატოვე, პარტიიდან გამოვედი და კოლეგებთან ერთად დავიწყე ზრუნვა დამოუკიდებელი კავშირის, მისი ბაზის შექმნისა და განმტკიცებისათვის. უფრო ადრე უარი ვთქვი მრავალპარტიულ არჩევნებში კომპარტიის სიით მონაწილეობაზეც, და ვფიქრობ, არ შემცდარვარ.

— რით იყო განპირობებული ის, რომ „მრგვალი მაგიდის" ბლოკის გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტთა კავშირმა მოუწოდა კოლეგებს ხელი შეეწყოთ ამ ბლოკისათვის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. რა მოხდა, რატომ ვერ დავინახეთ მაშინ მთავარი და გადამწყვეტი?

— ალბათ იმიტომ, რომ ტოტალიტარული სისტემის ასეთმა იოლმა დამარცხებამ ყველა გაგვაოგნა... ვგრძნობდით, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ეპოქა და გვეგონა, რომ ყველა ერთად გავწევდით ჭაპანს საქართველოსთვის. მაგრამ მოხდა პირიქით — ერთი პარტიის დიქტატურა მეორისამ შეცვალა. ეს იყო თითოეული ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტებისთვის თავზარდამცემი მოვლენა. გაიხსენეთ, რა ერთბაშად მიისაკუთრა უზენაესმა საბჭომ უმთავრესი გაზეთები, ტელევიზია და რადიო. როგორ გახლიჩა ჟურნალისტიკა ორ დაპირისპირებულ ბანაკად. განა ასე არ შეიქმნა ჩვენში „პრეზიდენტის ტელევიზია და რადიო", „პრეზიდენტის გაზეთები", რომელთა რედაქტორებსაც უმეტეს მასალას პრეზიდენტისა და უზენაეს საბჭოს პრესცენტრიდან შეკრებილი არაპროფესიონალები აწვდიდნენ? ასე დაიწყო ჩვენში ჟურნალისტურ ღირებულებათა სრული დევალვაცია, აიკრძალა ხელისუფლების კრიტიკა, დაიწყო სხვაგვარად მოაზროვნე ჟურნალისტთა დევნა, შევიწროება, სამსახურიდან დათხოვნა, ზოგჯერ დაპატიმრებაც.

— თქვენ უთუოდ ის უპრეცედენტო ანგარიშსწორება გაქვთ მხედველობაში, პრეზიდენტის მითითებითა და უშუალო მონაწილეობით რომ დაიწყო ტელეჟურნალისტთა მიმართ. ათობით ჩვენი კოლეგა გამოყარეს მაშინ ტელევიზიიდან. მახსოვს, როგორ ამოუდგა მათ მხარში ჟურნალისტთა კავშირი. მაგრამ პრეზიდენტსა და მის ახლომდგომთ ხელს არ აძლევდათ სიმართლე, მათ სჭირდებოდათ ყურმოჭრილი ტელევიზია და პრესა, რომელიც შექმნეს კიდეც.

— ასეთ დროს, ცხადია, საჭირო იყო მართალი სიტყვა, ალტერნატიული ჟურნალისტიკა. თქვენ გახსოვთ, რომ ჟურნალისტთა კავშირმა გაზეთ „7-დღის" გამოცემა დაიწყო 1990 წელს. მისმა კრიტიკულმა მიმართულებამ გვაიძულა გარკვეული ნაბიჯები გადაგვედგა, რათა ანგარიში არ გაესწორებინათ კავშირთან, რომელიც ჯერ საკმაოდ ღონიერი არ იყო. შევქმენით მცირე საწარმო „ეპოქა", რომელიც გაზეთის ოფიციალური გამომცემელი გახდა. გაზეთის ყოფილი რედაქტორი ვახტანგ აბაშიძე, ისევე, როგორც კავშირის ზოგიერთი სხვა მუშაკი, მცირე საწარმოში გადავიდა. შემდგომში გაზეთმა „7-დღემ" ადგილი დაუთმო მის ბაზაზე შექმნილ გაზეთ „დრონის" (1991 წლის ივნისის თვიდან), ხოლო სახელწოდება „7 დღე" წინა კოლექტივის ჟურნალისტთა იმ ნაწილს მიეცა, რომელმაც ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოისურვა. რაც შეეხება გაზეთ „დრონის" და მის რედაქტორს არჩილ კოგულიას როლს სიმართლისათვის ბრძოლაში, ეს თქვენთვისაც და საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი.

აი, ამ, ასე ვთქვათ, დიპლომატიურმა მანევრმა გადაარჩინა კავშირი ანგარიშსწორებისაგან და საშუალება მისცა გაზეთ „დრონის" სრულიად დამოუკიდებელი, ობიექტური და შეუპოვარი ყოფილიყო თავის პოზიციაში. გაზეთის გამოცემა და მცირე საწარმოს საქმიანობა გარკვეულ ფულად შემოსავალს აძლევდა ჟურნალისტთა კავშირს, რამაც საშუალება მოგვცა უმუშევარი პენსიონერი ჟურნალისტებისათვის ყოველთვიური დამატებითი პენსიები დაგვენიშნა. ბევრ ჟურნალისტს ერთდროულ მატერიალურ დახმარებას ვაძლევთ. მაგალითად, დეკემბერ-იანვრის ამბების დროს ხანძარმა შთანთქა ექვსი ჟურნალისტის ბინა, ჰოდა, ყოველ მათგანს გაეუწიეთ ფულადი დახმარება. მატერიალური დახმარება მიიღეს იმ ჟურნალისტებმაც, რომლებიც აჭარაში, მესტიასა და საჩხერეში დააზარალა მიწისძვრამ, მეწყერმა თუ სხვა სტიქიურმა უბედურებამ.

მცირე საწარმო „ეპოქამ" კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა: მან პარტნიორები გამონახა და ვალუტით შეიძინა პატარა სტამბა. კერძო სტამბის შექმნა, ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ყოფილ ხელმძღვანელობას ერთადერთი გამომცემლის მონოპოლიურ უფლებას აღუკვეთავდა. ამ სტამბას დემოკრატიული ძალებისთვის საშუალება უნდა მიეცა გამოეცათ თავიანთი გაზეთები და ჟურნალები. მაგრამ ბოლო ოთხი თვის ამბებმა შეაფერხა თბილისში სტამბის ჩამოტანა.

რაც შეეხება ჟურნალისტებზე შეტევას... არასოდეს მოვსწრებივარ ასეთ გამძვინვარებულ ანგარიშსწორებას. ეს კიდევ უფრო გაასკეცდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ტელერადიოდეპარტამენტის

პოზიცია

თანადგომა და სიმართლე!

მუშაკთა ცნობილი აქცია კატეგორიული მოთხოვნით — მთავრობას დაეცვა მის მიერვე მიღებული კანონი პრესისა და საინფორმაციო საშუალებათა შესახებ. შემდეგი თქვენთვის კარგად არის ცნობილი: ქუჩაში აღმოჩნდა ათეულობით ჩვენი კოლეგა. მათი მხარდაჭერა ამხანად ჟურნალისტთა კავშირის მოვალეობა იყო. არ მოვერიდეთ შანტაჟს, დაშინებას და გამოვეკვეთ ოფიციალური პროტესტი. გამოვნახეთ სახსრები, რათა ოდნავ მაინც გაგვემარტა ხელი დევნილი კოლეგებისათვის. ალბათ ჩვენი ასეთი პოზიცია იყო ნამდვილი მიზეზი იმ მრისხანებისა, ასე თვალნათლივ რომ გამოიხატა პრეზიდენტის ერთ-ერთ შეხვედრაზე ჟურნალისტებთან.

— მახსოვს, იმ შეხვედრაზე, ზოგიერთმა ჩვენმა კოლეგამ თქვენი თანამდებობიდან მოხსნაც მოითხოვა, რასაც სიამოვნებით დაეთანხმა პრეზიდენტიც. მაგრამ ის დავიწყედთ, რომ ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარეს პრეზიდენტები არ ნიშნავენ. კარგად მახსოვს ჩვენი კავშირის პლენუმიც, რომელიც ტელეჟურნალისტთა აქციის მხარდაჭერის მიზნით მოიწვიეთ. მაშინ ჩვენი პლენუმის საპროტესტო მიმართვაც თქვენ გაუგზავნეთ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ბრიუსელსა და ნიუ-იორკში, საიდანაც იგი მთელი მსოფლიოს სააგენტოებმა მიიღეს და გადასცეს. მახსენდება ხელისუფლების ის გააფთრებული რეაქციაც ჟურნალისტთა კავშირის და იმ ჟურნალისტების მიმართ ვინც ცალსახად ამოუდგა მხარში ჩვენს კოლეგებს და შეუერთდა მათ მოთხოვნებს. ჟურნალისტთა კავშირს ტელეფონებიც და ტელექსიც კი გამოურთეს, ხოლო ზოგიერთ ჩვენგანს პირდაპირი, შეუფარავი ტერორი დაგვიწესეს.

ამ საერთო ბრძოლის პირმში იყო ე. წ. ოპოზიციის რადიოსადგურიც, — ჩვენ ჟურნალისტებმა და ბატონებმა: გურამ გეგეშიძემ, ალექსანდრე იოსელიანმა, ოლეგ ჭელიძემ და სხვებმა რომ ავამუშავეთ დეკემბრის იმ ცხელ დღეებში, იმისათვის რომ მოგვეხსნა ე. წ. საინფორმაციო ბლოკადა, რომელიც თავს მოახვიეს მოსახლეობას.

—ტოტალიტარიზმზე დემოკრატიის გამარჯვების შემდეგ, უკვე თავისუფალი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" პირველსავე ნომერში, ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ გამოთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ პრესა უნდა იყოს თავისუფალი, საერთოდ არ უნდა ექვემდებარებოდეს მთავრობას და თვით კოლექტივები უნდა ირჩევდნენ რედაქტორებს. სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კიდეც სამხედრო საბჭომ.

დღეისთვის რესპუბლიკაში ბევრი ახალი გაზეთი გამოდის. ეს უთუოდ დადებითი მოვლენაა. მეორე საკითხია, თუ როგორია მათი ჟურნალისტური დონე და გვყავს თუ არა დღეს იმდენი პროფესიონალი, ჭეშმარიტი შემოქმედი. რასაკვირველია, არა. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ კერძო საკუთრების მოსპობამ ათეულ წლების სახელმწიფოს მორჩილ მსახურებად აქცია. კერძო საკუთრების აღდგენამ და განმტკიცებამ უნდა შეცვალოს ბევრის ფსიქიკა, გახადოს ისინი თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებები. ეს კი, უეჭველად, დადებითად იმოქმედებს ჟურნალისტიკის დონეზეც.

— დღევანდელი მძიმე პირობები — ქაღალდის სიძვირე, ფასების მატება ტიპოგრაფიულ მომსახურებაზე, გავრცელებაზე—მომავალში თავისთავად გამოიწვევს გაზეთების შემცირებას. მე ვიმედოვნებ, რომ ამ მძიმე კონკურენციის პირობებში მოხდება გაზეთების არა მარტო რიცხობრივი შემცირება, არამედ მათი ხარისხის ამაღლებაც. ამ გაზეთებს შორის, ბუნებრივია, გადარჩებიან საუკეთესონი, რომლებიც შეძლებენ დააკმაყოფილონ მკითხველთა მოთხოვნილება.

პრესის თავისუფლება იდეოლოგიურთან ერთად, ეკონომიკურ თავისუფლებასაც გულისხმობს. მაგრამ უკვე ცხადად გამოიკვეთა, რომ ყოფილი ოფიციალური გაზეთების რედაქციები ჭერაც არ არიან მზად დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი ეკონომიკური პრობლემები, მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღეს ჩვენში გამომავალ პრესას თბილისში ემსახურება მხოლოდ ერთი სახელმწიფო გამომცემლობა „სამშობლო". ერთადერთი კი, მოგეხსენებათ, მონოპოლისტს ნიშნავს, რაც წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ახლა ჩვენ ვსწავლობთ საგამომცემლო ბაზის თანდათანობით და ნაწილობრივი პრივატიზაციის შესაძლებლობებს, საჭიროა შეიქმნას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტამბები, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგის განვითარებას და შექმნის იმის საფუძველს, რომ გაზეთებმაც და მათმა გამომცემლებმაც თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ეკონომიკური პრობლემები. ვფიქრობ, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლაში პრესასა და პოლიგრაფიულ საწარმოებს აქტიურად უნდა დაეხმაროს ახლად შექმნილი ინფორმაციის სამინისტრო.

— ბატონო ნიკა, თქვენ ახლახან დაბრუნდით მოსკოვიდან, სადაც ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის ინიციატივით იმყოფებოდა საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენელთა დელეგაცია. როგორც ტელევიზიით ვნახეთ, საქართველოსაკენ მსოფლიო საზოგადოებრიობის აქამდე არნახული შემობრუნების ფონზე, რუსეთიც ცვლის თავის ამბიციურ დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ. თქვენ რას იტყოდით?

— სახელმწიფო საბჭოს შექმნამ ბატონ ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით ყველას ჩაუსახა იმის იმედი, რომ თავს დავაღწევთ არნახულ სიძნელეებს, რომელშიც აღმოვჩნდით. განა თვალნათლივ არ ჩანს, რომ მარტო განვლილი ორი-სამი კვირის მანძილზე გავიარეთ იმდენი, რასაც ადრე ალბათ წლები დასჭირდებოდა. დამიჯერეთ, თუ მშვიდობა იქნა, სულ მალე მსოფლიოს სახელმწიფო, დიპლომატიური თუ საქმიანი წრეები ეძიებს მისპინძლობას ვერ აუვალს საქართველოში. ეს, როგორც იცით, შემთხვევით არ ხდება. გამორიცხული არ არის, რომ საქართველო იქცეს მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცენტრად. სამწუხაროდ, ამ პროცესს, ჯერ კიდევ სრულად ვერ აღვიქვამთ საქართველოში, სამაგიეროდ, ეს უფრო აქვთ გათვითცნობიერებული საზღვარგარეთ, მათ შორის რუსეთშიც. ამიტომაც არ გაგვკვირვებია ის ხაზგასმული პატივი, რომლითაც მიგვიღეს რუსეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელებმა თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სერგეი ფილატოვმა და მოადგილემ იური იაროვმა, კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარეებმა. ჩვენი შეხვედრის, საუბრის, საერთო დამოკიდებულების ტონი და ატმოსფერო იყო მკვეთრად განსხვავებული, ამიტომაც ადვილად მოიძებნა ერთობლივი პოზიცია, რომელიც ვფიქრობ, თავის გამოხატულებას პოვებს რუსეთ-საქართველოს მომავალ ხელშეკრულებაში. ასეთია ჩვენი დელეგაციის თითოეული წევრის, ბატონების ირაკლი სურგულაძის, გიგა ლორთქიფანიძის, ნოდარ ლომოურის, ნიკო ჭავჭავაძის, რევაზ ჩხეიძის, გივი სანაძის და სხვათა საერთო შეფასება.

ჩვენი კავშირის, მისი თითოეული წევრის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია, ის, რომ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი რესპუბლიკის იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანას. ჩვენში სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენას, ჩვენი ხალხის ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას.

— ბატონო ნიკა, როგორც საუბრის დასაწყისში ვთქვით, ზოგიერთებისათვის თქვენ ყოფილი „პარტიული ფუნქციონერი", „მოღალატე" ჟურნალისტთა დამცველი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენს ქალაქშიც და საზოგადოებაშიც სხვა შეხედულებაც არსებობს თქვენზე და თქვენს ოჯახზე; მოდით, ზოგს მე გავიხსენებ, ზოგიც თქვენ შემაშველეთ:

თქვენი დიდი პაპა — ედიშერ ჩერქეზიშვილი რუსეთის წინააღმდეგ 1807 წლის აჯანყების მოთავეობისათვის ციხეში გადაუსახლებიათ, გამიგონია ისიც, რომ თქვენ დიდ ბებოს რკინის ქალამნები ჩაუცვამს, თოხლიაურიდან კუტუზოვამდე მისულა და მეუღლე დაუხსნია. პაპათქვენი — გენერალ-ლეიტენანტი ბალო ვაჩნაძე პეტერგოფის კომენდანტი ნიკოლოზ მეორესთან ისეთი დაახლოებული პირი ყოფილა, რომ, მისი ვაჟი გიორგი თურმე თავად მეფეს მოუნათლავს.

— ნიკოლოზ მეორეს დედის მარია თევდორეს ასულის ნათლული იყო აგრეთვე დეიდაჩემი — სოფიო ვაჩნაძეც. დეიდაჩემი კი, რომელიც ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს ფლობდა და სმოლნის ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, მთელი სიცოცხლე საბჭოთა დაწესებულებებში ეკონომისტად მუშაობდა. აქვე მინდა დავუმატო, რომ მამიდაჩემი, ელენე ჩერქეზიშვილი, დასავლეთში ცნობილი მოცეკვავე, საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფებოდა და ლევილში არის დასაფლავებული. ვვარაუდობ, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როგორც იურისტს, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, არასოდეს მიყენებდნენ. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ სხვადასხვა წლების საბჭოთა რეპრესიები ჩემს საგვარეულოს, ჩემს ახლობლებს უხვად დაატყდათ თავს.

— ამბობენ, 60-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური კომიტეტის განყოფილებას რომ ხელმძღვანელობდით, ქართული სასულიერო-სამოძღვრო სასწავლებლის გახსნის ერთ-ერთი ინიციატორი ბრძანდებოდით.

— უნდა მოგახსენოთ, რომ 1962 წლის დასაწყისში საქართველოში მხოლოდ ორმოცდაათამდე ეკლესია მოქმედებდა და ზოგიერთ მათგანში მღვდელი საერთოდ არ იყო, ორ-სამში კი რუსეთიდან გამოგზავნილი პირი წირავდა და ისიც რუსულ ენაზე. ჩვენი განყოფილება წინ აღუდგა ამ საშიშ ტენდენციას და დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მცხეთაში შეიქმნა ორწლიანი სამოძღვრო-სღვთისმეტყველო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ სემინარიად გადაკეთდა. დაახლოებით ამავე პერიოდში, 1963-64 წლებში ჩვენმა განყოფილებამ მტკიცედ დაუჭირა მხარი რუსთაველის სახელობის და სხვა თეატრების ახალგაზრდობას. ამ პერიოდში დასრულდა ეგრეთწოდებული „დათბობის" ხანა. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ აკრძალა ოთარ იოსელიანის კინოფილმის „აპრილის" საჯარო ჩვენება, რითაც გამოავლინა აშკარად რეაქციული პოზიცია ქართული კულტურის პროგრესული ტენდენციების მიმართ.

ამან ჩემი მეგობრების — თენგიზ ბუაჩიძის (კულტურის მინისტრი), ოთარ ქინქლაძის (სახკინოს თავმჯდომარე) მკვეთრი პროტესტი გამოიწვია, ისინი წინ აღუდგნენ პარტიულ-იდეოლოგიურ დოგმატიზმს და თანამდებობიდან გადადგნენ, მე განყოფილების გამგის თანამდებობიდან გამათავისუფლეს და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად დამნიშნეს. მუზეუმში გატარებულ რვა წელიწადს, ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანად მივიჩნევ. აქ, ჩემი აზრით, ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

— 1978 წელს თქვენი მობრუნება ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებაში ოთარ იოსელიანის „აპრილზე" ყადაღის ახსნით დაგიწყიათ.

— ამასთან მხარი დავუჭირეთ ჟურნალ „ცისკარს" და იმ ლიტერატურულ მიმართულებებს, რომლებსაც იგი ამკვიდრებდა. სხვათაშორის, რეკომენდაცია მივეცით სსრკ ტელერადიოკომიტეტს რომ მან „დათა თუთაშხიას" მიხედვით მრავალსერიული ტელეფილმის შესაქმნელად (რომანი იმ დროს რუსულ ენაზე ჯერ არ იყო თარგმნილი), განყოფილების წინადადებით მწერალთა კავშირთან შეიქმნა თარგმნისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლეგია. ამ კოლეგიას დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქართული ლიტერატურის პროპაგანდის, მისი რესპუბლიკის გარეთ გატანის და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე გამოცემის საქმეში. კოლეგიის წევრებისათვის იმ დროს არნახული მაღალი ხელფასები დაინიშნა. სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში ეს კოლეგია გააცამტვერეს და მხოლოდ ახლა იწყებს აღორძინებას. ჩვენ დავაყენეთ აგრეთვე საკითხი სოფელ თამარაშენში შეექმნა ი. მაჩაბლის სახლ-მუზეუმი და ლიტერატურული ცენტრი, სადაც რეგულარულად გაიმართებოდა მთარგმნელთა შეხვედრები. იმ რეგიონში ასეთი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრის შექმნა მომავალში ხელს შეუწყობდა ბევრი პოლიტიკური პრობლემის მოგვარებასაც. მაგრამ ეს გადაწყვეტილება შემდგომში ბოლომდე არ განხორციელდა.

დღეს ბევრი აკრიტიკებს ყველაფერ იმას, რაც ადრე კეთდებოდა. მინდა მოკლედ გიამბოთ იმის თაობაზე, თუ 1973-1975 წლებში, როგორ ხდებოდა კულტურის დარგში კადრების შერჩევა. ჩემს მოადგილეებად მოვიყვანე პროფესიონალები, რომელთაც ადრე პარტიულ სამუშაოსთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ესენი იყვნენ: ცნობილი ხელოვნებათმცოდნე თენგიზ ფერაძე და მწერალი, პროფესორი რომან მიმინოშვილი (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მას შემდგომ, რაც გაზეთში სამუშაოდ გადავედი, ეს არაპროფესიონალები სასწრაფოდ თავიდან მოიშორეს, რადგან მათ არ შეეძლოთ ყველაფერზე მორჩილად ექანტურებინათ თავი).

დიდი ყურადღება დავუთმეთ აგრეთვე რესპუბლიკაში კინოს განვითარებას. კინოკომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ცნობილი რეჟისორი, შესანიშნავი ადამიანი აკაკი დვალიშვილი, დიდი თხოვნის შემდგომ დაგვეთანხმა კონსტუდია „ქართული ფილმის" ხელმძღვანელობაზე რევაზ ჩხეიძე, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს ელდარ შენგელაია. კადრების ასეთ განლაგებას მივაღწიეთ იმ ადამიანებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ვისაც წონა ჰქონდა ქართულ კინოში. ჩვენი აქტიური მხარდაჭერით თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა ფაკულტეტი კინორეჟისორებისა და ოპერატორების მოსამზადებლად. კონსულტაციების საფუძველზე კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ ასევე არჩეულ იქნა მსოფლიო სახელის მქონე მუსიკათმცოდნე გივი ორჯონიკიძე, დაუოკებელი ენერგიისა და ფანტაზიის ადამიანი.

უნდა ითქვას, რომ ერთ-ორ წელიწადში ყველა შემოქმედებით კავშირს სათავეში კულტურის ნიჭიერი მოღვაწე ჩაუდგა.

კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ რეკომენდაცია მივეცით ნოდარ გურაბანიძეს. ოთარ თაქთაქიშვილის და ნოდარ გურაბანიძის ტანდემი ძალიან სასარგებლო გამოდგა, რამეთუ პირველის უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი განამტკიცა ახალგაზრდა პროფესიონალი თეატრმცოდნის თითქოს შეუმჩნეველმა, მაგრამ თავჩაუხრელმა შრომამ.

პროგრესული ძვრები მოხდა თეატრალურ ცხოვრებაშიც. აღდგა რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის სახელები. არ დამავიწყდება „ყვარყვარეს" დადგმა, რომელიც ჩემი აზრით, იქცა იმ საბაზო სპექტაკლად, რომელმაც განსაზღვრა რობერტ სტურუას სხვა შესანიშნავი სპექტაკლების სტილი და მიმართულება.

მას შემდგომ, რაც სპექტაკლი კულტურის სამინისტრომ მიიღო (მანამდე კი იგი ჩვენ 4-5-ჯერ მაინც ვნახეთ) ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთმა მდივანმა და ზოგიერთი განყოფილების გამგემ, ეს სპექტაკლი „ანტისაბჭოურად" მონათლეს და მისი მოხსნა მოითხოვეს, მაგრამ ისევე, როგორც ყველა სხვა საკითხში, ედუარდ შევარდნაძემ განყოფილების აზრს დაუჭირა მხარი. ჩვენი განყოფილება იყო ინიციატორი რუსთაველის სახელობის თეატრის მოსკოვში პირველი გასტროლებისა (მთელი ამ ხნის მანძილზე თეატრს აკაკი ბაქრაძე ხელმძღვანელობდა). სწორედ მოსკოვის ტრიუმფალურმა გასტროლებმა გაუხსნეს გზა თეატრს უცხოეთისაკენ. თეატრალურ საზოგადოებასთან შეიქმნა თეატრი „მეგობრობა", რამაც თბილისელებს საშუალება მისცა სხვა რესპუბლიკებში დადგმულ საუკეთესო სპექტაკლებს ზიარებოდა.

სამწუხაროდ, შემდგომში კადრების შერჩევის საქმეში რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უხეში შეცდომები დაუშვა, რაც თვითკრიტიკულობის დაჩლუნგებითა და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფით იყო განპირობებული. იმაში, რომ ბევრი ჩვენგანი უხმოდ ადევნებდა თვალყურს ყველაფერ ამას, ჩემს დიდ დანაშაულსაც ვხედავ.

თუ იმ დროს დავუბრუნდებით, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება იმის თაობაზე, თუ როგორ გვესმოდა ხალხის მსახურება, მაგრამ ეს უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებს, არც ახლა ვიტყოდი არაფერს, თუ არა მავანთა თავმომაბეზრებელი გახსენება იმისა, რომ მე „ძველი ფუნქციონერი ვარ" და სხვა მისთანანი. და ამას მახსენებენ და მიკიჟინებენ ადამიანები, რომელთაც თავისი ხალხის, თავისი ქვეყნისათვის თითი-თითზე არ დაუკარებიათ.

— ის, რაც ახლა ჩვენს ირგვლივ ხდება, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქართულ ჟურნალისტიკასაც. რას იტყოდით ამის შესახებ?

— მიმდინარე ძვრები ცხოვრების ყველა სფეროში, ვფიქრობ, ჩვენი კავშირის სტრუქტურის და ფუნქციების ნაწილობრივ შეცვლას მოითხოვს, ეს უფრო ნათელი გახდება საქართველოს პარლამენტის არჩევის შემდეგ. მაგრამ, რაც უდავოა ჩემთვის, მის ხელმძღვანელობაში უმთავრესად ახალგაზრდა პროფესიონალი ჟურნალისტები უნდა მოვიდნენ. ამისთვის კი დღესვეა ზრუნვა საჭირო. კავშირის სამდივნომ გადაწყვიტა ივნისში პლენუმის ჩატარება, რომელზედაც ამ და სხვა საკითხებს გამოვიტანთ. ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე პლენუმს მოახსენებს კავშირის ცალკეულ წევრთა საქმიანობის შესახებ და იმასაც, თუ როგორ შეესაბამებოდა მათი შემოქმედება ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსს, რომელიც ჩვენმა ყრილობამ ორი წლის წინ დაამტკიცა.

საქართველოს მომავალი დიპლომატიური ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან თავის მხრივ, ცხადია, მოითხოვს საზღვარგარეთ კორესპონდენტთა ქსელის ორგანიზაციას, ეს კი წმინდა შემოქმედებით საკითხებთან ერთად სხვა ურთულესი პრობლემების მოგვარებასაც მოითხოვს. პირველ რიგში საჭიროდ მიმაჩნია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი კავშირის გაწევრიანება. ამ ფედერაციაში შესვლა (შტაბ-ბინა ბრიუსელშია) გაგვიადვილებს საერთაშორისო კონტაქტების დამყარება-გამტკიცებას, გაგვიყვანს საერთაშორისო ასპარეზზე და, რაც მთავარია, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია ჟურნალისტის თავისუფლების, ყოველგვარი უსამართლობისაგან მისი დაცვის გარანტი იქნება.

ამ ფედერაციის ხელმძღვანელობას უკვე გავუგზავნეთ სათანადო დოკუმენტაცია და იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხი შემოდგომისთვის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. მართალია, ფედერაციაში გაწევრიანებას გარკვეული თანხა—დაახლოებით 3-4 ათასი დოლარი—დასჭირდება, რისთვისაც ჩვენ ამთავითვე დავიწყეთ თადარიგი.

ესაუბრა
გია ჭელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონი ქარჩავა:

„სიხარული დამენახოს ქართველი კაცის თვალებში"

[illegible] სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის საგანგებო რწმუნებულს საქართველოს დასავლეთ ზონაში ჯონი ქარჩავას და რამდენიმე კითხვით მიმართა:

— ბატონო ჯონი, როგორ გრძნობთ თავს ახალ თანამდებობაზე?

— მძიმე ტვირთია, პატრიოტული მოვალეობაა, მით უმეტეს, თუ შენი ნაღვაწი ოდნავ მაინც სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას.

ჩვენ ვალდებული ვართ ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე — მხარში ამოვუდგეთ ჩვენს ხალხს ძნელბედობის ჟამს, ხელი შევუწყოთ ძმათა შერიგებას, საერთო სტაბილიზაციას.

თქვენ, ცხადია, იცით, რომ რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ თავისი უფლებამოსილება ჩააბარა სამოქალაქო სტრუქტურას — სახელმწიფო საბჭოს, რომლის საშუალებით საქართველოში ხორციელდება სამოქალაქო მმართველობა. დღეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად დროულად გადავჭრათ ყველა აქტუალური საკითხი, მწვავე სოციალური პრობლემები. ახლა ძირითადი აქცენტია გადატანილი საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობაზე, ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრაზე. არადა, სოფელში ცოტა პრობლემა როდი დაგროვდა, იქნება ეს ტექნიკის, საწვავ-საპოხი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა, ტრანსპორტის არასახარბიელო მუშაობა თუ მრავალი სხვა რამ.

— ამ ბოლო დროს, დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა [illegible]

[illegible] ბოლო დროს სოციალური საკითხების სპეკულაციით იზიდავენ ხალხს მიტინგებზე. ექსპრეზიდენტის მომხრეები ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ წარმოება-დაწესებულებათა მუშაობას, გლეხის მინდვრად გასვლას და ა. შ. მაგრამ მათ საკადრის პასუხს ვცემთ. თანდათან კოტრდება მათი პოლიტიკა. თვითონ მოსახლეობის დამოკიდებულებაა ამ მხრივ იმედის მომცემი. ხალხის შეგნებაში თანდათანობით ყალიბდება სიმშვიდის, შრომის მოთხოვნილება.

— პოლიტიკური შფოთიანობა, ცხადია, ათასი ჯურის დამნაშავეს წარმოაჩენს ხოლმე...

— სწორი ბრძანდებით. პოლიტიკურ შფოთიანობას პირდაპირი კავშირი აქვს კრიმინოგენულ სიტუაციასთან. ბევრი ნაძირალა, მაროდიორი და უსაქმური მიეტმასნა არა მარტო ეროვნულ მოძრაობას, არამედ ეროვნულ გვარდიასაც და მხედრიონსაც, გახშირდა ყაჩაღობა, ქურდობა, მანქანების გატაცება...

მოსახლეობისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სჩადის ამ დანაშაულს. ისინი სამართლიანად მოითხოვენ ელემენტარული წესრიგის დამყარებას, რათა ნორმალური მუშაობისა და ცხოვრების პირობები ჰქონდეთ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ სჩადის დანაშაულს, ეს უკვე სახელმწიფოსა და სამართალდამცავი ორგანოების საქმეა, და რაც უფრო მალე გამოააშკარავებენ, მით უკეთესი.

ხალხს რომ კანონის შესრულება მოსთხოვო, ჯერ ეს კანონი უნდა გქონდეს. ჩვენ კი ჯერ თანა- [illegible] ველობის წარმომადგენლობათა თათბირი, რომელზეც აშკარად გამოიკვეთა ჩვენი უსუსურობა. ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ წარვმართოთ მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრამ თავისი ნაყოფი გამოიღო — იმერეთში იგრძნობა დანაშაულობათა შემცირების ტენდენცია.

თათბირზე დაისახა ერთობლივი ღონისძიებები გატაცებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე რესპუბლიკის მასშტაბით ინფორმირების სრულყოფის შესახებ, რათა დროულად დაუბრუნდეთ მფლობელებს უკვე ნაპოვნი ავტომანქანები და ძებნილებზე დროულად გავრცელდეს სრულყოფილი ინფორმაცია; საგანგებო შემთხვევებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების დროს რეგიონის მასშტაბით ოპერაციების კოორდინაციის შესახებ; ყოველთვიურად რეგიონის მასშტაბით ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრების აუცილებლობის შესახებ, საჭირო ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით.

სამართალდამცავი ორგანოების უპირველეს ამოცანად დავსახეთ მოსახლეობიდან უკანონო იარაღის ამოღება. ეს საქმე ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ, თუ სიმართლეს თვალებში შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ მილიციის ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებულია. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ შეცდომა თავიდან დავუშვით — მილიციის ორგანოები პოლიტიკაში [illegible]

არც ერთ ქვეყანაში ქალაქისა თუ რაიონის ხელისუფლების ცვლა არ იწვევს პოლიციის უფროსის გათავისუფლებას. ეს უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ, თორემ სხვაგვარად აბსურდამდე მივალთ.

— ბატონო ჯონი, მიტინგებმა რაც მოგვიტანა, ქვეყანა ხედავს... ნუთუ აღარ დადგა დრო, მართლაც მკლავები დავიკაპიწოთ ყველამ და ყოველნაირად ვეცადოთ, დაღუპვის პირას მისული ქვეყანა გადავარჩინოთ?...

— სურსათის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად, ცხადია, საგაზაფხულო სამუშაოები დროულად უნდა დამთავრდეს. არადა, ზოგან გლეხობას ისევ მოუწოდებენ არ იმუშაოს, ზოგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დაუმსხვრიეს, ზოგან ფიზიკურად გაუსწორეს ანგარიში...

ცხადია, მოკლეა ბოროტების გზა და ყველას პასუხი მოეთხოვება, მაგრამ ხალხი დაიღალა...

საგაზაფხულო სამუშაოებს დაემთხვა მეტად დიდმნიშვნელოვანი აქტი — მიწის პრივატიზაცია. ამან ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. არც არის გასაკვირი, რადგან საკუთრებას გადაჩვეული იყო ჩვენი მიწის მუშა. ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. ჩემი აზრით, შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად პრივატიზაციის კანონი, რათა მიწა არ მოცდეს.

საერთოდ, ყველა დარგის პრივატიზაციის საკითხი უკუქცევადი მოვლენა არ არის და დროული ღონისძიებები უნდა გატარდეს სათანადო ორგანოებისა და ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ ამ პრობლემის დროულად და ეფექტიანად ჩატარებისთვის. ამით თავიდან ავიცილებთ მოსახლეობის უკმაყოფილებას.

— მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უმუშევრობასაც იწვევს. ეს მტკივნეული პროცესია. საინტერესოა თქვენი აზრი...

— მართლაც, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას გარდაუვლად მოჰყვება უმუშევრობა, ადამიანები იცვლიან ძირითად პროფესიას. ეს კი, თავისთავად, აძნელებს ცხოვრებას. მშრომელ კაცს ოჯახის შენახვა უჭირს.

აი, მაგალითად, წყალტუბოში, დამსვენებელთა ნაკლებობამ, რაც ჩვენთან შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების შედეგია, თითქმის 3 ათასამდე ადამიანი დატოვა უმუშევრად, მოიშალა საკურორტო მეურნეობა, გაჭირდა სანატორიუმების მოვლა-პატრონობა. ეს საქმე კიდევ უფრო გაართულა შარშანდელმა მკაცრმა ზამთარმა. წყალტუბოს ზონის ხელმძღვანელობა ეძებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს, მაგრამ ეს ყოველივე აღემატება მის შესაძლებლობებს.

— ბატონო ჯონი, ქუთაისი წარმოუდგენელია კულტურული ცხოვრების გარეშე. რახან თანდათან ყველაფერი კალაპოტში დგება, ცხადია, ამ საკითხსაც უნდა მივხედოთ...

— ბუნებრივია, როცა ქვეყანაში ამდენი უბედურება ტრიალებს, სულიერი ცხოვრებისთვის აღარავის სცალია. მაგრამ ქართველ კაცს, ისიც ქუთაისში — მდიდარი კულტურული ტრადიციების ქალაქში — უსიმღეროდ, უთეატროდ და, მით უმეტეს, უიუმოროდ ნამდვილად არ გაეძლება. ამ ქალაქს მართლაც შეუძლია იამაყოს თავისი კულტურული კერებით, მწერლებით, პოეტებით, მხატვრებით, მუსიკოსებით, მომღერლებით, მსახიობებით...

მისასალმებელია, რომ ქუთათურმა სცენის ოსტატებმა ამ ძნელბედობის დღეებში მოახერხეს მაყურებლისთვის ეჩვენებინათ პრემიერა.

ქალაქის კულტურული ცხოვრება, ჩვენი აზრით, უნდა წარიმართოს ორი ძირითადი მიმართულებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, პოზიციის არსებობას გულისხმობს, პოზიციისა, რომელიც მსოფლმხედველობის საფუძველია, და მეორე, — ამ გზით მიიყვანოს ადამიანი პიროვნულ თვითდამკვიდრებამდე.

გულდასაწყვეტია, რომ წლების მანძილზე გადაუჭრელი რჩება ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის საკითხი, რომელიც თავის დროზე ენთუზიაზმით დაიწყო და შუა გზაზეა მიტოვებული

იყო აგრეთვე კარგი ჩანაფიქრი ბაგრატის ტაძრის მიდამოებში შექმნილიყო ისტორიულ-არქეოლოგიური პარკი. საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრი თავის დროზე შეუდგა არქეოლოგიურ გათხრებს, მაგრამ ამჯერად ეს საშური საქმეც შეჩერებულია. არადა, გათხრების შედეგად აღმოჩენილი IV-V საუკუნეების უნიკალური ისტორიული ძეგლები გადაუდებელ რესტავრაციასა და კონსერვაციას საჭიროებს, თორემ არის იმის საშიშროება, რომ ისინი დაზიანდეს და ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

— საერთო მდგომარეობის გამოსასწორებლად რა უნდა გაკეთდეს, ბატონო ჯონი, რაში ხედავთ გამოსავალს?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციიდან და სხვა საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე სახელმწიფო სტრუქტურები. მოქალაქეს, თუ იურიდიულ პირს უნდა ველაპარაკოთ სახელმწიფოს სახელით და არა ჩვენი მოსაზრებებიდან გამომდინარე. ამისთვის საჭიროა დროულად ავირჩიოთ პარლამენტი, რომელიც უწინარესად კონსტიტუციას და თანამედროვეობის შესაბამის სხვა საკანონმდებლო აქტებს დაამტკიცებს.

სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას საჯარისო ფორმირებების საკითხი თავისი განსაზღვრული ფუნქციით.

კანონზე დაყრდნობით უნდა გაძლიერდეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, მათი სათანადო ტექნიკითა და აღჭურვილობით მომარაგება.

უპირველესად უნდა გადაიჭრას მოსახლეობის ყველა ფენის სოციალური საკითხები.

— მგონი იმედის გაზაფხული დაუდგა ქართველ კაცს, ბატონო ჯონი...

— ჩემი სურვილია მეტი სიხარული დავინახო ქართველი კაცის თვალებში, და როგორც ანაკლიელმა ქართველმა ქალმა, შაოსანმა დედამ ამას წინათ მითხრა, „ხელმძღვანელი თანამდებობა არ ჩაუვარდეთ ხელში სულელებსა და რეგვენებს".

— ჭეშმარიტად, ღმერთმა ქნას, ეგრე იყოს!

ესაუბრა
დავით წერეთელი.

ხიდი

თბილისი მასპინძლობს ცნობილი იტალიელი მხატვრის ფრანჩესკო მარია მარტინის ნამუშევართა გამოფენას (გამოფენა გაიხსნა ამას წინათ გრიბოედოვის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის ფოიეში), რომელიც ეწყობა იტალიურ-ქართული ცენტრის „სოლ"-ის თაოსნობით (პრეზიდენტი ჯანფრანკო ბონომი, ვიცე-პრეზიდენტი — გიორგი ცინცაბაძე).

„მშვიდობის ცივილიზაცია"

გამოფენის სახელწოდება „მშვიდობის ცივილიზაცია — რელიგიური სამყაროს ერთიანობა", თავად მიგვანიშნებს ამ ექსპოზიციის მიზანს. ამ გამოფენის მთავარი იდეა უცხო როდია საქართველოსთვის.. აქ ხომ სხვადასხვა ხალხია და რელიგიათა მშვიდობიან თანაარსებობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ფრანჩესკო მარია მარტინის ნამუშევართა გამოფენა სცილდება საკუთრივ მხატვრული ცხოვრების საზღვრებს, მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ექსპოზიციით საფუძველი ეყრება საქართველოსა და იტალიის დიდ ერთობლივ კულტურულ პროგრამას.

„მშვიდობის ცივილიზაცია" — ამ სახელწოდებით გაერთიანებულია სპილენძის 20 პანო, რომლებზეც წარმოდგენილია მსოფლიოს ხალხთა რელიგიებისა და მითოლოგიის, ლეგენდათა თავისებური მხატვრული გააზრება. მხატვარს ეს მონუმენტური პანოები ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც ერთიანი ციკლი, რომელშიც აისახებოდა ადამიანთა რწმენა, რელიგიური წარმოდგენები კაცობრიობის ისტორიის უძველესი დროიდან ვიდრე დიდ მონოთეისტურ რელიგიებამდე.

ცეცხლის აღმოჩენა, „ოქროს ხანა", დამწერლობის შექმნა და განვითარება, ხე ცხოვრებისა, ოკეანიის მითოლოგია, სამხრეთამერიკული და აფრიკული მითოლოგია, ინდუიზმი, ბერძნულ-რომაული და ეგვიპტური მითოლოგია, ზოროასტრიზმი, ისლამი, ქრისტიანობა — აი, არასრული სია იმ თემებისა, რომელთაც მიმართავს მხატვარი. როგორც ჩამოთვლილი თემებიდან ჩანს, ეს ძალზე მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესო ნამუშევრებია.

„ამ ნამუშევართა შექმნის მიზანი იყო გაერთიანებულიყო ერთიან კონცეფციაში ის გზები, რომლებიც კაცობრიობამ განვლო ათასწლეულთა განმავლობაში (დასაბამიდან დღემდე), ის იდეოლოგიური მონაპოვრები და ძალები, რომლებიც მშვიდობას ემსახურებოდა", — ამბობს ფრანჩესკო მარია მარტინი თავისი გამოფენის ანოტაციაში.

ეს ნამუშევრები არ წარმოადგენს მითების სიუჟეტებისა და სხვადასხვა რელიგიათა პირდაპირ ილუსტრაციებს, ისინი ერთგვარი განზოგადებული მხატვრული სახეებია, შემოქმედის ფიქრი და ნააზრევია. სხვადასხვაა მხატვრის მიდგომა თითოეული სიუჟეტისადმი, იუდაიზმისადმი მიძღვნილი პანო ასახავს მოსეს სინის მთაზე, ქრისტიანობას მაცხოვრის ქადაგების სცენა განასახიერებს, ხოლო, მაგალითად, აფრიკული მითოლოგიისადმი, ზოროასტრიზმისადმი მიძღვნილ პანოებზე კონკრეტულ სიუჟეტს კი არ ასახავს, არამედ იძლევა მთელი მითოლოგიური წარმოდგენების სინთეზურ სახეს.

ყურადღებას იპყრობს პანოების შესრულების ტექნიკა — ლითონმქანდაკებლობისა და მინანქრის ორიგინალური შერწყმა. მხატვარს ტრადიციული მინანქრის ტექნიკა აქვს გამოყენებული. სპილენძის რელიეფურ ზედაპირს მინანქრის ელვარება განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს. მარტინის ნამუშევრებში შერწყმულია ტრადიციული და თანამედროვე მხატვრული ხერხები. პანოებისთვის შერჩეულია ნათელი, ხასხასა ფერები. მინანქრისთვის მხატვარი ხმარობს სხვადასხვა ძვირფას მინერალთა ოქსიდებს, იყენებს აგრეთვე მალაქიტს, ამეთვისტოს, ნეფრიტს, სადაფს და სხვა.

მხატვარი საგანგებოდ ირჩევს მარტივ, ლაკონიურ მხატვრულ მეტყველებას, მიახლოებულს პრიმიტიულ ხელოვნებასთან, რათა უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს უძველეს ცივილიზაციებთან უწყვეტი კავშირები.

„ეს ნამუშევრები წარმოადგენს ადამიანის მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების მოკლე იკონოგრაფიულ სინთეზს, მითოლოგიური თემების ისტორიულ-რელიგიურ რეტროსპექტივას — არქაული კულტურებიდან ვიდრე „წიგნის" რელიგიათა უნივერსალობამდე", — წერს გალილეო ჯენტილე ბატონ მარტინის ნამუშევართა იტალიურ კატალოგში.

„მშვიდობის ცივილიზაციის" ციკლის შექმნას წინ უძღოდა რთული და ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო: მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხთა მითებისა და ლეგენდების გაცნობა-შესწავლა, სწორედ ეს ცოცხალი შთაბეჭდილებები აისახა ამ კომპოზიციებში, რომლისთვისაც თავდაპირველად (ესკიზების შემდეგ) შეიქმნა ოფორტები, მოგვიანებით კი ეს ციკლი, რომლის წინასწარი სამუშაოები 1980-84 წლებში მიმდინარეობდა, ხოლო პანოები 1984-1986 წლებში შეიქმნა.

საქართველო იტალიის შემდეგ პირველი ქვეყანაა, სადაც წარმოდგენილია „მშვიდობის ცივილიზაცია".

ფრანჩესკო მარია მარტინის გამოფენა, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ საწყისია იმ მრავალფეროვანი პროგრამისა, რომლის მიზანია ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია, მისი განვითარებისთვის ხელის შეწყობა, მისი გაცნობა სხვადასხვა ქვეყნისათვის. ამ თანამშრომლობის პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს გამოფენა გამდიდრდება ქართველ მხატვართა ნამუშევრებით.

გამოფენის მესვეურთ განზრახული აქვთ ივნისში ამ ერთობლივი გამოფენის საერთაშორისო პრეზენტაცია თბილისში. დაგეგმილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოღვაწეთა მოწვევაც. გამოფენა თბილისში რამდენიმე თვეს გასტანს, შემდეგ კი იმოგზაურებს სხვადასხვა ქვეყანაში. თითოეულ ქვეყანაში ექსპოზიცია შეივსება საგანგებოდ შერჩეული ნაწარმოებებით.

იტალიელი მხატვრის ეს გამოფენა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ისეთი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მარადიულობას, როგორიცაა მშვიდობა, ერთგულება, სიკეთე, სიყვარული ღვთისა და მოყვასის მიმართ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ამ სასიკეთო წამოწყებას, რომელსაც „მშვიდობის ცივილიზაცია" უდებს სათავეს.

ნინო ჭიჭინაძე.

სურათებზე: ფრანჩესკო მარია მარტინი; დამთვალიერებლები ეცნობიან მხატვრის ნამუშევრებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.



ამ ტრიალ ქვეყანაზე

სარდლის განცხადება

„დადგა იმის საჭიროება, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყდეს საკითხი სამხრეთ ოსეთში რუსეთის შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა შემდგომი ყოფნის შესახებ", — განაცხადა იტარ-საკდესის კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვასილ სავინმა.

კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე, აღნიშნა მან, ცდილობს შინაგანი ჯარები თავის მხარეზე გადაიბიროს, ეს არ მოხდება. რუსეთის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არა აქვთ არავითარი სხვა მიზანი გარდა იმისა, რომ მშვიდობა და თანხმობა იყოს რეგიონში.

უკანასკნელი დღეების მანძილზე სამხრეთ ოსეთში შედარებითი სიმშვიდის შემდეგ განახლდა ქართველი და ოსი შეიარაღებული ფორმირებების შეტაკებანი. სამხედრო მოსამსახურენი გულგრილად არ ეკიდებიან საფრთხეს, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს ექმნება. მაგრამ რუსეთის შინაგან ჯარებს არა აქვთ გაჭიანურებულ „საზღვარგარეთ" მივლინებაში ყოფნის არავითარი სამართლებრივი საფუძველი, თქვა დასასრულ გენერალ-პოლკოვნიკმა სავინმა.

მდგომარეობა ავღანეთში

კვლავ რთული პოლიტიკური ვითარებაა ავღანეთში. რადიო „თავისუფლების" ცნობით, მოჯაჰედებმა ქალაქი ჯალალაბადი აიღეს. უფრო ადრე მათ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ქალაქები ღაზნი და მაიდანშაჰრი, აგრეთვე ჰერატის გარეუბნები. თვით ჰერატში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს მოჯაჰედებსა და მთავრობის ჯარებს შორის. შეიარაღებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ბურჰანუდდინ რაბანიმ თეირანის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მოჯაჰედები ქაბულის რამდენიმე რაიონს უკვე აკონტროლებენო. ოპოზიციის კიდევ ერთმა ლიდერმა გულბედინ ჰექმათიარმა ფეშავერში გამართულ პრესკონფერენციაზე ქაბულის რეჟიმის შეიარაღებული ძალების დათხოვნა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქაბულს იერიშით ავიღებთო. „საველე მეთაურის" ახმად შაჰ მასუდის შეიარაღებულ ძალებს ქაბულის მისადგომები უკავიათ, მაგრამ ჯერჯერობით ბრძოლების დაწყებას არ აპირებენ. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, რომ ქაბულში შედარებით სიმშვიდეა. უცხოეთის საელჩოებთან ქვეყნის დატოვების მსურველთა რიგები იზრდება. თვითმფრინავები შეფერხებებით დაფრინავენ. ავღანეთის მმართველმა პარტიამ პრეზიდენტი ნაჯიბულა ყველა დაკავებული თანამდებობიდან გადააყენა. ქაბულში გამართულ პრესკონფერენციაზე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ ვაქილმა ნაჯიბულას „მსოფლიო მტერი" უწოდა, საერთოდ ავღანეთში პოლიტიკური მოვლენები სწრაფად იცვლება და ეს ინფორმაცია დღეს შეიძლება მოძველებული იყოს.

ევროპის გაერთიანება მშვიდობისაკენ მოუწოდებს

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა ბოსნია და ჰერცეგოვინა ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ „ცხელ" წერტილად იქცა. რესპუბლიკაში მაცხოვრებელი სერბები სერბიასთან შეერთებას ცდილობენ. მათ მხარეზეა ყოფილი იუგოსლავიის სახალხო არმია. სერბებსა და ბოსნია და ჰერცეგოვინაში მცხოვრებ მუსლიმანებსა და ხორვატებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად უკვე 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 1600 კაცი დაიჭრა, ბევრი უგზო-უკვალოდ დაიკარგა.

ევროპის გაერთიანება გულისწყრომით გმობს ძალადობის აქტებს და მოუწოდებს კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს დაიცვან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც პორტუგალიის პრეზიდენტის კანცელარიამ გაავრცელა. ამჯერად ეს ქვეყანა ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს ევროპის გაერთიანებაში.

ლატვიაში ბანკნოტების ნაკლებობა იგრძნობა

„ათასი მანეთი ახლა აღარაფერს ნიშნავს". — ასეთ კომენტარს უკეთებს ლატვიის თავისუფალი პროფკავშირების ლიდერი მინიმალურ ხელფასს, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა. მათი გამოანგარიშებით, რომელიც გააკეთეს მეცნიერებთან ერთად, თანხა ერთიორად მეტი უნდა იყოს. თუ სამომხმარებლო კალათიდან მთელ სამრეწველო საქონელსაც კი ამოვიღებთ, და მასში მხოლოდ პროდუქტებსა და რაღაც სახეობის მომსახურებას დავტოვებთ, მაშინაც კი აუცილებელი ციფრი 1150 მანეთს ქვემოთ არ ჩამოდის.

ამ დროს კი მთავრობა შეშფოთებულია იმით, თუ სად უნდა აიღოს 800 მილიონი მანეთი, რომ გადასახდელი მათ მიერ განსაზღვრულ დონეს მიუახლოოს. მყიდველები დიდი ხანია უგულებელყოფენ მრავალ საქონელს მაღაზიებში მაღალი ფასების გამო, რასაც მოჰყვება ბანკში ნაღდი ფულადი მასის კრიზისი. ამის გამო ქრონიკულად ყოვნდება ერთ-ორ კვირას ხელფასების გაცემა.

ამ სიტუაციას განიხილავდა ოთხი საპარლამენტო კომისია. ლატვიის ბანკის პრეზიდენტმა ეინარ რეპშემ განუცხადა დეპუტატებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა თქვეს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებაზე დააყენებენ საკითხს მთელ სამანეთო ზონაში ხაზინისეული ფულის სამართლიანი განაწილების შესახებო. „თუ ასეთი რამ მოხდა, პრობლემა გადაიჭრება", — განაცხადა მან.

ტაძრიდან გაიტაცეს

გვატემალის დედაქალაქში წმინდა დომინიკეს ტაძრიდან გატაცებულია მე-17 საუკუნის ესპანელ ფერმწერთა ოთხი სურათი. როგორც მღვდელმა ხოსე კილესმა განაცხადა, დაახლოებით 10 მილიონ დოლარად შეფასებული ხელოვნების ნაწარმოებები „როგორც ჩანს, მოიპარა დამნაშავეთა საერთაშორისო ბანდამ, რომელმაც შესანიშნავად იცის მათი ღირებულება".

მოპარულ სურათებს შორის არის 1,7 მეტრი სიმაღლისა და 1,07 მეტრი სიგანის წმინდა პეტრეს გამოსახულება, რომელიც 1600 წელს დაუხატავს ესპანელ ხელოვან ფრანსისკო სურბარანს.

გვატემალის პოლიცია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სურათებმა არ დატოვოს ქვეყნის ტერიტორია. როგორც მოელიან, მოპარულ ნაწარმოებთა ძებნაში მონაწილეობას მიიღებენ ინტერპოლის თანამშრომლები.

წერილი რედაქციას

ვინ ლაპარაკობს კოლექტივის სახელით?

მიმდინარე წლის 17 აპრილს გაზეთ „ხარანგში" გამოქვეყნდა „ღია წერილი პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ბატონ თენგიზ სიგუას". მას ხელს აწერს გამომცემლობა „სამშობლოს" 24 თანამშრომელი (სამწუხაროდ, აქ მხოლოდ რაოდენობაა მითითებული და გვარები ჩამოთვლილი არ არის).

მეორე დღეს კი თქვენს გაზეთში — „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა პოლიგრაფისტის (იგი ასე უწოდებს თავისთავს) ჯემალ ქარაზანიშვილის სტატია „დაგვიანებული პასუხი მეგობრებს". აი, ამ სტატიის გამოქვეყნებით გამოჩნდა აისბერგის წყალში დაფარული ნაწილიც, გამთლიანდა იგი და ჩვენთვის ნათელი გახდა, საიდან იღებს სათავეს „ხარანგში" გამოქვეყნებული წერილი.

„ხარანგის" პუბლიკაცია ჩვენს აღშფოთებას იწვევს, რადგან არავის (და მით უფრო ოცდაოთხ კაცს) არ ჰქონდა უფლება ელაპარაკა გამომცემლობა „სამშობლოს" ათასკაციანი კოლექტივის სახელით.

ამ პუბლიკაციაში რამდენიც ფრაზაა, იმდენი სიცრუეა და რამდენიც არგუმენტი — იმდენი სიყალბე.

დავიწყოთ იმით, რომ გამომცემლობის დირექტორობიდან ჯ. ქარაზანიშვილი კუთვნილ შვებულებაში ყოფნის დროს არ გაუთავისუფლებიათ და ამდენად მის მიმართ კანონსაწინააღმდეგო აქტი არ განხორციელებულა.

1991 წლის 22 აგვისტოს ბრძანება № 846-ში, რომელსაც თვით ჯ. ქარაზანიშვილი აწერს ხელს, ვკითხულობთ: „საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის აღმაშფოთებელი აქციის გამო, რაც სამხედრო გადატრიალებისადმი მათი მხარდაჭერით გამოიხატა, თავს ვალდებულად ვთვლი, არ დავემორჩილო საქ. დამოუკიდებელი კომპარტიის ცკ-ის ბიუროს ა/წ 18 აგვისტოს დადგენილებას გამომცემლობა „სამშობლოს" დირექტორად ჩემი დამტკიცების შესახებ და დირექტორის მოვალეობის შესრულება გავაგრძელო ა/წ 8 აგვისტოს № 786 ბრძანების შესაბამისად" (ჯ. ქარაზანიშვილი დირექტორის მოვალეობას ასრულებდა დროებით, ვ. ესვანჯიას შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით).

თუ როგორ გამოხატა ჯ. ქარაზანიშვილმა სამხედრო გადატრიალებისადმი თავისი პოზიცია რეალურად, ეს სხვა თემაა, მაგრამ ამჯერად ზემოთ მოყვანილი ბრძანების ფორმულირებით დავკმაყოფილდეთ და ისიც დავუმატოთ, რომ კაცს, რომელმაც საკუთარი ხელით დაწერა თანამდებობიდან თავისივე განთავისუფლების ბრძანება (თუ გულწრფელია და არ თვალთმაქცობს) ზემდგომი ინსტანციის დასტური არც სჭირდება, არც ძველი პრემიერის ბრძანება უნდა იყოს ანგარიშში ჩასათვლელი, მაგრამ ახლა, ეტყობა, ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება — როგორმე გამომცემლობას დაუბრუნდეს ძველი ხელმძღვანელობა.

„ხარანგში" გამოქვეყნებული წერილის ავტორებს ბუღალტერიაში და საერთოდ გამომცემლობაში არსებული დოკუმენტაციებითა და მონაცემებით რომ ეხელმძღვანელათ, პასუხი იქ მოყვანილ არგუმენტებზე ასე ჩამოყალიბდებოდა: გამომცემლობას დაემატა დირექტორის მოადგილის მხოლოდ ერთი შტატი (წიგნების გამოცემის დარგში), და არა ხუთი, როგორც წერილში ამტკიცებენ. საგამომცემლო ჯგუფში 20 კაცია და არა 29; გაზეთ „რესპუბლიკურ უწყებანში" მუშაობს 27 თანამშრომელი და არა — 58, ამასთან, წიგნების საგამომცემლო საქმიანობით (მარტო ბეს სახით) გამომცემლობის ხაზინაში არც ერთი კაპიკი კი არა, ჯერჯერობით 184 450 მანეთი შემოვიდა; „რესპუბლიკური უწყებანის" ყოველი ნომრის გვერდნახევარი ან ორი გვერდი ეთმობა სწორედ რეკლამებსა და განცხადებებს და გასული წლის სამ თვეში (იგი შარშან ოქტომბერში დაარსდა) გაზეთმა 168 ათასი მანეთი წმინდა მოგება მისცა გამომცემლობას, წელს კი იგი 150 ათას მანეთს აღემატება.

„ხარანგში" დაბეჭდილ წერილს კარგად ვერ გაიგებთ, თუ „საქართველოს რესპუბლიკის" სტატიით არ შევავსებთ. აქ კი ჯ. ქარაზანიშვილი წერს: „საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" ფაქტობრივად არის საკმაოდ ძლიერი პოლიგრაფიული ბაზა-სტამბა და არა გამომცემლობა, რომლის ფუნქციებიც მას არასოდეს არ ჰქონია და არ შეუსრულებია".

დიახ, ვახთის სტამბაა და ვისთვის გამომცემლობა! ზოგიერთი პოლიგრაფისტი მას როგორც სტამბას ისე უყურებს, ის კი, ვისაც უფრო ფართო თვალსაწიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უნარი აქვს, ამ სტამბას უსათუოდ საგამომცემლო საქმეს დაუკავშირებს და ფართო სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ამოცანებს დაუსახავს (სხვათა შორის, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ გამომცემლობის სათავეში სულ ჟურნალისტები ან პოლიტიკური მოღვაწეები იდგნენ, ხოლო იმ ერთადერთმა პოლიგრაფისტმა, რომელიც ხუთი წლის მანძილზე ამ საწარმოს დირექტორად მუშაობდა, ისეთ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა იგი, რომ ძველი ხარვეზები დღესაც დიდი ჯაფით სწორდება).

საგამომცემლო ჯგუფმა, რომელიც შარშან სექტემბერში შეიქმნა და წერილის ავტორთა გულისწყრომას იწვევს, დასაბეჭდად მოამზადა ორიგინალური, უნიკალური ან რელიკვიად ქცეული წიგნები, რითაც მკითხველთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ასეთია წიგნების სერია: „საქართველო მოგზაურის თვალით", სადაც განზრახულია შვიდ წიგნად გამოიცეს არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა", კორნელი ბოროზდინის „სამეგრელო და სვანეთი", ექვთიმე თაყაიშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობანი", ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები" და „მოგზაურობა ბასკეთში" (პირენეის „გურიიდან") და სხვ., აგრეთვე გრიგოლ რობაქიძის ბიბლიოთეკა თხუთმეტ ტომად, „ნობელის პრემიის ლაურეატები", ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ლანგის ორტომეული („ქართული მონარქის უკანასკნელი წლები. 1658-1832 წ.წ." და „საქართველოს ახალი ისტორია XIX-XX სს").

რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მძლავრი პოლიგრაფიულ ბაზა ჩვენვე, თუ მისი წყალობით, უზარმაზარ შემოსავალს იღებენ სხვა საგამომცემლო ორგანიზაციები და თვით კოოპერაციული გამომცემლობებიც?!

იქნებ ძველი, რუტინული სტერეოტიპების მსხვრევა წერილის 24 ავტორს გამომცემლობის დასასრულად წარმოუდგათ?! ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებული წიგნების დაბეჭდვით დაგეგმილი ათობით მილიონი მანეთი დიდად გამოაკეთებს გამომცემლობის ფინანსურ მდგომარეობას. ცხადია, ასეთ შემოსავალს ვერ მისცემდა მათ ძველი ხელმძღვანელობის და საგამომცემლო ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც ძირითადად „ნაცარქექიას", „ჩექმებიანი კატის", კალენდრების... გამოცემას ითვალისწინებდა.

მეტად სამწუხაროა, როცა პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილ ღია წერილში ავტორები არ ერიდებიან სიცრუეს და ამტკიცებენ, თითქოს გამომცემლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე პოლიგრაფიაში სრულიად გაუთვითცნობიერებელი დილეტანტები დანიშნეს.

ბატონი ჯ. ქარაზანიშვილიც ანვითარებს ამ აზრს თავის წერილში და ამბობს: „პოლიგრაფიული მრეწველობა სპეციფიკური დარგია. მისი მართვა პროფესიონალების საქმეა და არა დილეტანტების, რომელთა გამოც ქართული პოლიგრაფია სერიოზულად ჩამორჩა თანამედროვე ტექნოლოგიასაც და შრომის ორგანიზაციასაც".

საინტერესოა ვინ იგულისხმება ამ „დილეტანტებში?".

ცხადია, ორივე წერილი გათვლილია უეცარ ეფექტზე, რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს თვალები აუხვიონ. სინამდვილე კი ასე ლაღადებს: ყველა უბანს, საწარმოო განყოფილება იქნება ეს თუ ცალკეული საამქრო, სათავეში უდგანან თვით „სამშობლოში" დაოსტატებული კვალიფიციური სპეციალისტები. ასევე, აქ აღზრდილია მთავარი ინჟინერიც, რომელიც ადრე ხელმძღვანელობდა საგაზეთო-ოფსეტურ კორპუსს, ბოლო დროს კი მთავარი ინჟინრის მოადგილედ მუშაობდა.

რაც შეეხება კადრების გადაადგილებას, ეს დირექტორის საქმეა და არავის აქვს უფლება ამაში ჩაერიოს, მით უფრო, როცა ყველასათვის აშკარაა, თუ როგორ შეიცვალა [illegible] მდგომარეობა, როცა საამწყობო საამქროს თუ საწარმოო განყოფილების ხელმძღვანელებად ახალი, მაგრამ გამოცდილი კადრები დააწინაურეს.

აი, ეს კი ვერაფრით ვერ გაგვიგია — რატომ ჩამორჩა მაინცდამაინც ბოლო 6 თვის მანძილზე ქართული პოლიგრაფია თანამედროვე ტექნოლოგიას და რატომ არ შეიძლება ეს საყვედური ძველ ხელმძღვანელობასაც ვუწილადოთ, რაკი ისინი აქამდე, თხუთმეტ წელიწადს, განაგებდნენ ჩვენ პოლიგრაფიულ წარმოებას.

ისევ მოვუხმოთ ფაქტებს. მსოფლიო პოლიგრაფიულ წარმოებაში მთავარი ცენტრი დიდი ხანია კომპიუტერულ საქმიანობაზეა გადატანილი და ლინოტიპი, ალბათ, სამუზეუმო იშვიათობად თუ იქცა. ჩვენთან კი იგი ისევ ძირითადი საწარმოო საშუალებაა. იფიქრა კი ამ საკითხზე „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორმა, — ერთ დროს გამომცემლობის მთავარმა ინჟინერმა — ან იზრუნა იმაზე, რომ შეეძინათ საჭირო მარკის კომპიუტერული ტექნიკა და იგი წარმოების ძირითად საშუალებად ექციათ? ალბათ იფიქრა, რადგან ამ ორიოდე წლის წინ გამომცემლობის შენობაში შემოსახლეს კოოპერატივი „მარიხი", რომელმაც არენდის საფასურად თავისი ტექნიკა მიაქირავა გამომცემლობას; ამავე დროს, მოიპოვა უფლებაც გამოიყენოს გამომცემლობის ბაზა და გამოუშვას საკუთარი ნაბეჭდი პროდუქცია როგორიც და რამდენიც ნებავს. „მარიხმა" რომ ხვალ ამ შენობიდან წასვლა გადაწყვიტოს, გამომცემლობას ახალი ტექნიკის ნასახიც კი არ დარჩება.

და აი, გამომცემლობამ შეიძინა 2 ცალი PC პრინტერი AT (286), 1 ცალი XT და ერთი ცალი ლაზერული პრინტერი HPLYIIIP. ეს ყველაფერი მოხდა არა ადრე, არამედ ბოლო ექვსი თვის მანძილზე, ახალი ხელმძღვანელობის დროს და მისი ინიციატივით. უახლოეს მომავალში განზრახულია უფრო განვითარებული ტექნიკის შეძენაც.

და ბოლოს, რატომ ამოძრავდნენ და აფუსფუსდნენ ზოგიერთნი გამომცემლობაში პროკურატურის მოსვლის შემდეგ? იქნებ მართლაც ადგილი ჰქონდა იმ საპრემიო თანხების არადანიშნულებისამებრ განაწილებას, რომლებიც მუშებსა და ოსტატებს დამსახურებულად ეკუთვნოდათ, ან შეიძლება არც მთლიანად სწორი იყო ზოგიერთი საწარმოო საშუალების მიყიდვა და ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა სხვა რესპუბლიკებისა და სხვა საწარმოებისათვის, ან ვთქვათ, შესაძლოა კანონიერად და მიზანშეწონილად ვერ ფორმდება ზოგიერთი ხელშეკრულება გამომცემლობასა და სხვა ორგანიზაციებს შორის?

ნორმალური მუშაობის დროს პროკურატურის მეშვეობით ასეთი საკითხების შესწავლა არავითარი ეჭვის საფუძველს არ იძლევა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთის აწრიალება და აფუსფუსება მართლაც საგონებელში გაგდებს, — რა ხდება, რა მოუვიდა ამ ხალხს?

ასეთია ფაქტების ლოგიკა.

შეიძლებოდა „ღია წერილის" სხვა არგუმენტებზეც ასე გვემსჯელა, მაგრამ, ვფიქრობთ, კმარა უსაფუძვლო ბრალდებებზე თავისი მართლება და იმის მტკიცება, რაც ისედაც აშკარაა ათასი კაცისათვის, რომელიც იმ მცირე ჯგუფისგან განსხვავებით ასე პატივს სცემს და აფასებს გამომცემლობის ხელმძღვანელობას.

საკითხავია, ასეთი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ბრძოლის ვითარებაში, როცა არ ხდება გამომცემლობის არც ქაღალდით, არც სხვა საბეჭდი კომპონენტებით უზრუნველყოფა, როცა თითოეულ მუშაკს მუშაობა უხდება ძნელ და უჩვეულო პირობებში, სხვა ვინ შეძლებდა ისე წარემართა ამ უდიდესი მნიშვნელობის წარმოების საქმიანობა, რომ რესპუბლიკას ძირითადად ინფორმაციის შიმშილი არ ეგრძნო, ხოლო შრომითი კოლექტივი ერთსულოვნად დარაზმულიყო საერთო მიზნის განსახორციელებლად?

ამიტომ, კიდევ ერთხელ (ამჯერად გაზეთის მეშვეობით) მივმართავთ სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტს, მოავლინონ წარმომადგენლები და ჩვენთან ერთად გაარკვიონ საქმის ნამდვილი ვითარება, დარწმუნდნენ იმაში — შეუძლია თუ არა ოცდაოთხ კაცს გადაწონოს ათასი კაცის აზრი და გულისთქმა.

ბოლოსდაბოლოს, უნდა დავრწმუნდეთ — რა ამოძრავებს იმ ოცდაოთხ კაცს და ვინ დგას ფაქტობრივად მათ უკან.

ვალერი ძნელაძე, ნოდარ კერძევაძე, დემურ ჩანთარია, ლუიზა პაპიძე, ფარნაოზ გველესიანი — გამომცემლობა „სამშობლოს" პოლიგრაფისტები, **ვაჟა ფურცელაძე** — მექანიკური საამქროს უფროსი, **რეზო ხანთაძე** — საამწყობო საამქროს უფროსი, **პახუმ დონაძე** — წარმოების უფროსი, **ჯემალ ხუჯაძე** — დირექტორის მოადგილე, **მათე დონაძე** — ქაღალდის განყოფილების გამგე, **თამაზ კვაბზირიძე** — მთავარი ინჟინერი, **იუზა ლორია** — დირექტორის მოადგილე, **ჯემალ ჯიშკარიანი** — კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი და სხვები.

კვალიფიკაცია, გვჭირდება ბატონებო, კვალიფიკაცია!..

რა დასამალია და, ბევრი უჩივის ჩვენი ექიმების დაბალ კვალიფიკაციას, ამის გამოა, რომ სამკურნალოდ ისევ მოსკოვსა და პეტერბურგს მიეშურებიან ავადმყოფები. ოღონდ, რასაკვირველია, ყველა ექიმზე არ ითქმის. ბევრია გამორჩეული ნიჭისა და უნარის მქონე, მაგრამ თანამედროვე სამედიცინო აპარატურის უქონლობის გამო, ხშირად სნეულების წინაშე უძლურნი ხდებიან.

საზღვარგარეთ ავადმყოფთა სამკურნალოდ გაგზავნა კი, მოგეხსენებათ, დიდ სახსრებთან არის დაკავშირებული.

— მაშ, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოში მცხოვრებს ჰქონდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული სამედიცინო დახმარება? — ასეთი კითხვით მივმართეთ ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ქართული ფონდის თავმჯდომარეს, დიმიტრი ტვილდიანს.

— ამის განხორციელება მაშინ შეიძლება, როცა საქართველოში მოვამზადებთ საერთაშორისო კვალიფიკაციის ექიმებს, რომლებიც ჩვენში არა მარტო დანერგავენ მკურნალობისა და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებს, არამედ კადრების მომზადების ახალ საფუძველსაც შექმნიან.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოღვაწე ექიმებს, მეცნიერებათა დოქტორებსაც კი, როგორც მკურნალებს, საზღვარგარეთ არ ცნობენ.

სამედიცინო დარგში ექიმთა კვალიფიკაციის საერთაშორისო სტატუსის განსაზღვრაში, პირველობა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნის. მათ მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში შექმნილი აქვთ ექიმის სერტიფიკატის მოსაპოვებელი საგამოცდო ცენტრები, რომელთა მიერ გაცემული ლიცენზია დამაჯერებელი საბუთია მსოფლიოს სადაზღვევო კომპანიების დიდი უმრავლესობისათვის.

ახალგაზრდა მედიკოსებისათვის საერთაშორისო სერტიფიკატის მისაღებად მომზადების ორი გზა არსებობს. ერთია სასწავლებლად მათი გაგზავნა აშშ-ის სამედიცინო ცენტრებში, რომელთა დამთავრების შემდეგ მათ პირდაპირ ენიჭებათ მედიცინის დოქტორის ხარისხი. მაგრამ ეს გზა სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება. მეორე გზა გახლავთ საერთაშორისო პროგრამების შესაბამისად სამედიცინო კადრების მომზადება საქართველოში და სწავლების მთელი კურსის დამთავრების შემდეგ გამოცდების ჩასაბარებლად მათი ამერიკის საგამოცდო ცენტრებში გაგზავნა, ჩვენთვის ეს მეორე გზაა მისაღები. ამიტომ შეიქმნა ქართული ფონდი, რომელმაც თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე უკვე მოახერხა საგამოცდო პროგრამების დასაძლევად

აქტუალური ინტერვიუ

აუცილებელი მთელი სპეციალური ბიბლიოთეკისა და სამედიცინო ვიდეოთეკის შეძენა და ჩამოტანა. მაგრამ ფონდის მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უაღრესად რთული საგამოცდო პროგრამის დამოუკიდებლად დაძლევა, პრაქტიკულად ძალზე ძნელია. ჩვენს ფონდში გაერთიანებული 400-მდე მედიკოსიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთმა შეძლო გამოცდების ორივე ეტაპის ჩაბარება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ **საჭიროა საქართველოში შეიქმნას უმაღლესი სამედიცინო სკოლა, რომელიც იმუშავებს საერთაშორისო სერტიფიკატის მოთხოვნათა შესაბამისად.** სკოლაში სწავლა იწარმოებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჩვენს ფონდს განსაზღვრული აქვს, ამერიკელ კოლეგებთან ერთად, თბილისში დააარსოს საერთაშორისო სერტიფიკატის მიმნიჭებელი საგამოცდო ცენტრი, რომელიც ისევე, როგორც უმაღლესი სამედიცინო სკოლა, პირველი იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში. ფონდს განზრახული აქვს, აგრეთვე ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის დაარსება პროფილური საგნებისა და ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების მიზნით და საერთაშორისო დონის ექთნების მომზადება.

— სანამ უშუალოდ ახალი უმაღლესი სამედიცინო სკოლის მიზნებსა და ამოცანებს გაგვაცნობდეთ, გთხოვთ, გვითხრათ: რამდენი იქნება სწავლის წლიური ღირებულება და როგორ მოხვდებიან თქვენთან აბიტურიენტები? თქვენი ინსტიტუტი ხომ არ იქნება მხოლოდ „შეძლებულთა“ სასწავლებელი?

— სწავლის ღირებულების განსაზღვრისას ვიხელმძღვანელებთ საერთაშორისო სავალუტო კურსით, და იგი შეიძლება შეიცვალოს ფულის კურსის ცვლილებების შესაბამისად. საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების უმაღლეს სამედიცინო სკოლებში სწავლის წლიური ღირებულება სულ ცოტა 15000 დოლარია. ეს რომ ეკვივალენტურად მანეთებზე გადავიყვანოთ, ჩვენი პირობებისათვის მიუღებელი იქნება. ვფიქრობთ, თანამემამულეთათვის იგი დასაწყისში 25000-მდე მანეთი იქნება. უცხოელი სტუდენტებისათვის იგი გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ ნაკლები, ვიდრე საზღვარგარეთ. რასაკვირველია, მხოლოდ სტუდენტთა გადასახადით, სკოლა თავის სასწავლო მატერიალურ ბაზას თანამედროვე დონეზე ვერ მოაწყობს, მაგრამ, ალბათ, მას გამოუჩნდება სპონსორები და მთავრობაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს.

სწავლის ღირებულება შეიძლება გადაიხადონ, როგორც თვით სტუდენტის მშობლებმა, ასევე სპონსორებმა. როდესაც ჩვენი ფონდი მოღონიერდება, იგი თავად გაუწევს სპონსორობას მაღალნიჭიერ, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდებს.

— რას გვეტყვით, პედაგოგებად ვინ იქნებიან მოწვეული და როგორი იქნება სასწავლო ბაზა?

— სკოლის პედაგოგებად მოწვეული იქნებიან რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები, რომელნიც თავის სპეციალობას ასწავლიან ინგლისურ ენაზეც და აქვთ საერთაშორისო პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილებაც.

სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება ფონდის მიერ შეძენილი და ჩამოტანილი საერთაშორისო საგამოცდო საგნობრივი პროგრამები, სამედიცინო ბიბლიოთეკა და ამერიკის ექიმთა ასოციაციის ვიდეოთეკა.

— რას გვეტყვით სკოლის სტრუქტურასა და ორგანიზაციაზე და ვინ შეიძლება გახდეს თქვენი სტუდენტი?

— სკოლის სტუდენტები შეიძლება გახდნენ საქართველოს მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდას და გადაიხდიან სწავლების სულ მცირე ერთი წლის საფასურს.

სკოლაში სწავლა შვიდწლიანია და მოიცავს სამ ეტაპს: პირველი ორი წელი — თეორიული მედიცინა, შემდეგი ორი წელი — კლინიკური მედიცინა (თუმცა კლინიკის ზოგადი საკითხები პირველ წელსვე იწყება) და ბოლოს — არჩეულ სპეციალობაში სამწლიანი რეზიდენტურა. პირველი ორი წლის სწავლის შემდეგ ბარდება გამოცდა საერთაშორისო სერტიფიკატის ბაზისურ ნაწილში, მომდევნო ორი წლის სწავლის შემდეგ — გამოცდა საერთაშორისო სერტიფიკატის კლინიკურ ნაწილში, ხოლო რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ — სალიცენზიო გამოცდა დამოუკიდებელი სამკურნალო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად. ყველა გამოცდას იბარებს აშშ საგამოცდო საერთაშორისო კომისია.

მისაღები გამოცდა ფასიანია. იგი ტარდება ტესტირებული კითხვარებით ინგლისურ ენაზე. გამოცდაზე აბიტურიენტს ერთდროულად მიეცემა 100 ტესტირებული შეკითხვა ანატომიის, ფიზიოლოგიის, ქიმიისა და ზოგადი ბიოლოგიის საკითხებზე საშუალო სკოლის პროგრამიდან.

გამოსაშვები გამოცდა ინგლისურ ენაზე იმავე პრინციპით ტარდება, როგორც სასერტიფიკატო გამოცდა. საერთაშორისო სერტიფიკატის მიღების შემდეგ სტუდენტები სამი წლის განმავლობაში მუშაობენ ექიმ-რეზიდენტებად საზღვარგარეთის ან სურვილისამებრ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამოუკიდებელი საექიმო მოღვაწეობის უფლება.

— სად იქნება თქვენი სკოლის ბაზა, აუდიტორიები, ლაბორატორიები?

— ჩვენი სკოლა მუშაობას დაიწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შესაბამისი კათედრების ბაზაზე სახელშეკრულებო ურთიერთვალდებულებების საფუძველზე, თავის მხრივ იგი ერთგვარი ექსპერიმენტული ბაზა იქნება სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისათვის სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გარდაქმნის საქმეში.

— როდის დაიწყება თქვენთან მისაღები გამოცდები და კონტინგენტის შერჩევისას მისაღები გამოცდების კრიტერიუმში გათვალისწინებული იქნება თუ არა საკონკურსო ადგილები ქალებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე?

მისაღები გამოცდები ივნისის დამლევს ან ივლისის დამდეგს გვექნება, სწავლას კი პირველ სექტემბერს დავიწყებთ: მისაღები კონტინგენტი იქნება არაუმეტეს ორმოცი კაცისა. სკოლაში მოხვედრისა და სწავლის პროცესში წარმატებების ერთადერთი კრიტერიუმია ცოდნა. აბიტურიენტმა და მისმა მშობლებმა, აგრეთვე სპონსორებმაც წინასწარ უნდა იცოდნენ, რომ ურთულესი საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების დაძლევა მოითხოვს სწავლისადმი მეტად სერიოზულ და გულმოდგინე დამოკიდებულებას, სისტემატურ ბეჯით შრომას და უზარმაზარ ენერგიას. სტუდენტებს, მეტადრე გოგონებს, განსაკუთრებით უმძიმებს სწავლის პროცესს დაოჯახება, ამიტომ არჩევანი სჯობია თავიდანვე გაკეთდეს, რადგან ყველა სასერტიფიკატო გამოცდას ტესტირებული მეთოდით იბარებს საერთაშორისო საგამოცდო კომისია, სადაც ყოველგვარი დახმარება და სუბიექტური კეთილმოსურნე დამოკიდებულება გამორიცხულია.

საერთაშორისო დონის ეროვნული სამედიცინო კადრების მოსამზადებელი უმაღლესი სამედიცინო სკოლის დაარსება გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია. მისი რეალიზაციისათვის საჭიროა რესპუბლიკის მთავრობის, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის, აგრეთვე განათლების სამინისტროების დახმარება სათანადო ბაზებითა და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი პრობლემის გადაწყვეტისათვის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი არა ერთი მილიარდი დოლარი დახარჯეს.

ესაუბრა
ლარისა ხუბულური.

მოვლენა ● [illegible] ● კომენტარი

აფხაზი მწერალი — სამეფო გამოცემაში

აფხაზ მწერალს გიორგი გულიას მარტში 79 წელი შეუსრულდებოდა. ცხლახან ცნობილი გახდა, რომ მწერლის პიროვნებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა, რომლის გამოცემათა შორის არის ისეთი ცნობილი ცნობარები, როგორიცაა — „საერთაშორისო ავტორები და მწერლები — ვინ ვინ არის“, „ვინ ვინ არის მუსიკაში“. გიორგი გულიას ბიოგრაფია. საერთაშორისო ლექსიკონში — „ვინ ვინ არის მწერალთა შორის“ — შეიტანეს. ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ე. კეიმ მწერლის ქვრივს შეატყობინა:-გამოცემისათვის — „ვინ ვინ არის — ინტელექტუალთა შორის“, რომელშიც მსოფლიოს 62 ქვეყნის ოცი ათასი ინტელექტუალის ბიოგრაფიაა მოთავსებული, გიორგი გულიას სახელიც შეირჩა.

მომავლის იმედით

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდი.

ფონდის უმთავრესი მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესობის პრინციპის განხორციელება.

ფონდის პრეზიდენტად არჩეულია გიორგი თევზაძე, ვიცე-პრეზიდენტად — ალექსანდრე სესიაშვილი.

უძვირფასესი წიგნი



უდავოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ გამოცემა.

გამომცემლობა „მერანმა“ სმოლენსკის პოლიგრაფკომბინატში დაბეჭდა ჩვენთვის, ყველასთვის უძვირფასესი წიგნი „სიტყვის კონა“.

უკვე ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ილია აბულაძის მიერ ცხრა ავტოგრაფული ნუსხის მიხედვით მომზადებული სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. სამწუხაროდ, მაშინდელ გამოცემას ბოლოში უნდა დართვოდა ილია აბულაძის ვრცელი გამოკვლევა და მის მიერვე შედგენილი ინდექსი ანუ „საძიებელი განმარტებებში ნახმარი და სალექსიკონო ერთეულებად გამოყოფილი სიტყვებისა“.

ახლანდელი გამოცემა სწორედ იმით არის საყურადღებო, რომ უფრო სრულია და გასწორებულია ცალკეული შეცდომები.

არ შეიძლება უღრმესი მადლიერება არ გამოვთქვათ ამ დიდებული ძეგლის რედაქტორების, — ქალბატონების ელენე მეტრეველისა და ციალა ქურციკიძის მიმართ, რომელთაც უდიდესი შრომა გასწიეს სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ სამტომეულის მომზადების საქმეში.

ოცწლიანი შუალედის შემდეგ ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალ თაობებს, შეუძლიათ ეზიარონ „სიტყვის კონის“ ჯადოსნურ სამყაროს.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობა „მერანის“ მაღაზია-სალონში — რუსთაველის გამზირი, 42.

I ტომი 61 მანეთი ღირს.

„საქწიგნის“ სისტემით ვისაც აქვს გამოწერილი ლექსიკონი, ბეს სახით გაცემული თანხა შეუძლია დაიბრუნოს უკან ხელმოწერის გაფორმების ადგილზე.

ნინო მამალაძე.

სიხარული.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

რეკლამა ● განცხადება

რეკლამა ● განცხადება

რეკლამა ● განცხადება

ბაზალტი

სადაზღვევო კომპანია

საწარმოებს, ორგანიზაციებს,

ფირმებსა და კერძო პირებს

სადაზღვევო კომპანია „ბაზალტი“ გთავაზობთ უნივერსალურ სადაზღვევო მომსახურებას თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ სფეროში.

გადასახდელის ყველაზე დაბალი განაკვეთი და ზარალის ოპერატიული ანაზღაურება თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით, რომელთა შექმნაც მხოლოდ „ბაზალტს“ შეუძლია.

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, ტელ.: 39-55-67, 39-11-64.

გახსოვდეთ!

ცხოვრებას ხშირად მოულოდნელობით. „ბაზალტი“ თქვენი ფინანსური წონასწორობის გარანტია!

„კავკასიის ბირჟა“

22 აპრილს

გაიმართება ფასიანი ქაღალდებით ღია ვაჭრობა

ვაჭრობა დაიწყება 11 საათზე

მისამართი: ვაჟა ფშაველას პრ. № 72.

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“, სააგენტო „გალარეკლამა“.

ფირმა „მუზა“ გთავაზობთ მოგზაურობას

პოლონეთ-საფრანგეთში, ვარშავა — 2 დღე და პარიზი — 3 დღე, საბუთების მიღება 25 აპრილამდე.

ასევე გთავაზობთ გერმანიაში (ჰამბურგი 8 დღე), ფინეთში (2 დღე), იტალიაში (რომი 8 დღე) და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობას.

ფირმა „მუზას“ მისამართია: ვაჟა-ფშაველას პრ. 45 (მეტრო დელისთან, „საქსოფმშენის“ შენობაში, მე-9 სართულზე). ტელ.: 38-91-84, 38-95-19. მოქალაქეთა მიღება 11-დან 16 საათამდე.

ფირმა „რანა“

აგრძელებს მოგზაურობათა ციკლს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში და გიწვევთ სამოგზაუროდ კომფორტაბელური თბომავლით ჩინეთში (ქ. შანხაი), იაპონიაში (ქ. ტოკიო) და სამხრეთ კორეაში (ქ. პუსანი) მიმდინარე წლის 20 მაისიდან. საგზურის ღირებულება არ აღემატება 290 ამერიკულ დოლარს და 20 000 მანეთს.

ამასთან ეგზოტიკური კრუიზების მოყვარულებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა შემდეგ კრუიზებში:

გაერთიანებული არაბეთის ემირატები (. დუბაი), 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო — კვება დილით და საღამოთი. 18-25 მაისი (ოდესიდან თვითმფრინავით).

საბერძნეთი (პირეი) — იტალია (ნეაპოლი) — თურქეთი (სტამბული), გემით „ივან ფრანკო“. 11-22 ივნისი და 23 ივნისი — 4 ივლისი გასვლა ოდესიდან.

სირია (ლატაკია) — კიპროსი (ლიმასოლი) — ეგვიპტე (პორტსაიდი) — თურქეთი (სტამბული), გემით „პეტრე პირველი“, 5 აგვისტოდან — 17 აგვისტომდე. გასვლა ოდესიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ქ. თბილისი ა. უაზბეგის გამზ. 12 ტელ.: 36-54-01; 36-08-31; 36-02-31.

„ექსპრეს-ბიზნეს 210“-ის მოთამაშეთა და ყველა მსურველთათვის!

აგრძელებს მუშაობას ფირმა „ჯორჯია“-სთან ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი სააგენტო, რომელიც ადრე მდებარეობდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამ. 46-ში.

სააგენტო ზრუნავს „ექსპრეს-ბიზნეს 210“-ის გავრცელებაზე. თქვენ შეიძინეთ — სააგენტო გაავრცელებს!

სააგენტოსთვის ჩვეული ყველა მოთამაშეზე, მიუხედავად თამაშის შედეგებისა, 150 მანეთის დაბრუნების გარანტიასთან ერთად დამატებით ვაცხადებთ, რომ აღნიშნული განცხადების გამოქვეყნების დღიდან პირველ 200 შემოსულ მოთამაშეს ეძლევა 100% გარანტია, რომ მათ დაუბრუნდებათ მთლიანად 200 მანეთი. აღნიშნული წესი თამაშის განვითარების მიხედვით შესაძლოა გავრცელდეს მოთამაშეთა მეტ რაოდენობაზეც.

დაუკვირდით! ფაქტიურად მინიმალური რისკით თქვენ ხდებით კომერციული თამაშის მონაწილე და გეძლევათ შანსი გახდეთ საკმაოდ დიდი თანხის მფლობელი. თქვენთვის ასეთი მომგებიანი პირობები არის მხოლოდ ამ სააგენტოში.

მობრძანდით, თქვენი მოგება თქვენს ხელთაა!

დანარჩენ თქვენთვის მნიშვნელოვანი თამაშის პირობებს გაეცნობით სააგენტოში, რომლის მისამართია: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 20 (დიდუბე, რკინიგზის საავადმყოფოსთან).

სააგენტო მუშაობს 11 საათიდან 17 საათამდე, დასვენების დღეები შაბათი, კვირა. გთხოვთ, თან იქონიოთ თქვენი პირადი პასპორტი კომპიუტერზე შესატანი მონაცემების გასაფორმებლად.

„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

ყველას, ვინც დაინტერესებულია თანამეგობრობის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოების საბაზრო ფასებთან შედარებით საკმაოდ დაბალ ფასებში შეიძინოთ დანადგარები, მასალები (ლითონის, ხის და სხვა), სამრეწველო და ფართო მოხმარების საქონელი, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის პროდუქცია,

ვიწვევთ ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ ღია ვაჭრობაზე, რომელიც რეგულარულად იმართება პარასკეობით, 12 სთ-ზე.

ნუ გაუშვებთ ხელიდან იშვიათ შანსს, შუამავლის გარეშე უშუალოდ თქვენვე აწარმოოთ გარიგებები საბირჟო ვაჭრობაზე.

ვაჭრობაში მონაწილეობის წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟის“ ოფისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №89/24, VI სართული. (მეტროპოლიტენის სადგური „მარჯანიშვილი“).

დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე: 95-30-24 95-37-41

მუშაობის საათები 10-დან 17 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

სარეკლამო ფირმა „რენომე“

ფირმა ი ბ ე რ ი ბროკერსაგენტარესი

ბატონებო და ქალბატონებო! მხოლოდ ჩვენთან!!!

თქვენ გეძლევათ ძალიან მომგებიანი შესაძლებლობა!!!

კორპორაცია НИПЕК-ის 10 ცალიანი და მეტი აქციების პაკეტის შეძენით თქვენ მოგეცემათ საშუალება, თქვენი სურვილისამებრ, დივიდენდები მიიღოთ ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელის საწვავი, ზეთები, მაზუთი და ა. შ.) სახით, ხოლო 1000 ცალიანი პაკეტის მფლობელს, იმის გარდა, რაც დივიდენდებს მიიღებს ნატურით, ეძლევა უფლება ჩაერთოს კორპორაცია НИПЕК-ის პროდუქციის გასაღების ქსელში. მას აუშენდება (საჭიროებისამებრ) ავტოგასამართი სადგური და გადაეცემა არენდით, გამოსყიდვის უფლებით. თან დაიდება მასთან სადილერო ხელშეკრულება ნავთობპროდუქტების გასაღებაზე, სავაჭრო ფასდაკლებით.

შეიძინეთ ჩვენთან НИПЕК-ის აქციები და თქვენ გახდებით ევროპაში ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი კორპორაციის მეწილე.

კორპორაცია НИПЕК-ის აქციების შეძენით გადააქცევთ თქვენს საბჭოურ მანეთებს რუსულ ეროვნულ ვალუტაში, თანაც ნავთობმანეთებში. ამით გადაარჩენთ თქვენს კაპიტალს მიმდინარე ჰიპერინფლაციისაგან.

პაკეტების ღირებულებაა 1992 წლის 6 აპრილის მდგომარეობით:

— 10 ცალიანი აქციების პაკეტი 12280 მან. ან 89 აშ. დოლ.

— 100 ცალიანი აქციების პაკეტი 121740 მან. ან 882 აშ. დოლ.

— 1000 ცალიანი აქციების პაკეტი 1125800 მან. ან 8158 აშ. დოლ.

მობრძანდით! ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №7, 3 სართ. ბინა 5.

დაგვირეკეთ 29-14-81.

სარეკლამო-საინფორმაციო სამსახური „დრო“

ტელეფონი: 98-10-29.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული

ბიზნესის უმაღლესი სკოლა

მეორე ახალი სპეციალობის მიღების მიზნით აცხადებს საბუთების მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ერთობლივ საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა; ვაჭრობის მართვა და კომერციული საქმიანობა; ფინანსების მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში; წარმოების მართვის ორგანიზაცია;

პირებს, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ ბიზნესის უმაღლეს სკოლას და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს, მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი, მეორე — ახალი სპეციალობის ჩვენებით.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 აპრილამდე. გასაუბრება და ჩარიცხვა მოხდება 27-28 აპრილს.

სპეცფაკულტეტზე მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი, ან საშუალო სპეციალური განათლება.

ბიზნესის უმაღლესი სკოლა სრულ სამეურნეო ანგარიშზეა.

დამატებითი ცნობებისათვის: უნივერსიტეტის ქ. № 2, მაღლივი კორპუსი, ოთახი 1103, ბიზნესის უმაღლესი სკოლა. ტელეფონი: 30-01-07; 30-40-73; ტელექსი 212291, „ჯვარი“.

სარეკლამო სააგენტო „დრო“.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან არსებული ფირმა

„სამართალი“

გადაგიჭრით ყველა იურიდიულ პრობლემას:

— სახელმწიფო, კოლექტიური, ინდივიდუალური (კერძო) საწარმოების ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა,

— მცირე საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციონერო საზოგადოების, ბირჟის, საიჯარო საწარმოს, ბანკის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ასოციაციის, კონცერნის, კონსორციუმის, უცხოური ფირმის ფილიალისა და წარმომადგენლობის, აგრეთვე სხვა სახის იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტების შემუშავება,

— კონსულტაციები სამეურნეო, სამოქალაქო და საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე,

— საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა,

— ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების პროექტების მომზადება,

— საარბიტრაჟო საქმეების პროექტების ექსპერტიზა და მომზადება,

— ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა და მომზადება,

— უცხოურ ფირმებთან მოლაპარაკებაში იურისტის მონაწილეობა,

მისამართი: თბილისი 380007, მთაწმინდის რაიონი, ქიქოძის №3 (ყოფილი მახარაძის ქ.), ოთახი №7, 20. ტელეფონები: 98-32-20, 97-32-05. ფაქსი 98-32-13. მიღება ყოველ დღე 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

აღნიშნული ტელეფონების ნომრების დაზიანების გამო, გთხოვთ მობრძანდეთ ფირმაში.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაზარაძის ქ. № 22. ინდექსი 64486.